დემოკრატია და ადამიანის უფლებები

„ძალაუფლების შენარჩუნება“

ქართული პარტიული სისტემის ეფემერულობა 2012 წლის შემდგომ პერიოდში

ჯოზეფ ალექსანდერ სმიტი
დეკემბერი 2021

საქართველოს დემოკრატიის პოსტსაბ-ჭოთა გამოცდილება აჩვენებს, რომ დღე-მდე გრძელდება პარტიების ფორმირების დომინანტური მოდელის ჩამოყალიბება. პარტიულ სისტემაში, ახალბედების უმეტესობას ფესვები ღრმად არ აქვს გა-დგმული სამოქალაქო საზოგადოებაში და, როგორც წესი, მათ ინდივიდუალური „მეწარმეები“ ხელმძღვანელობენ.

ქვეყანამ მიიღო არასტაბილურობისა და დაუცველობის განსაკუთრებული მემკვი-დრეობა, რომელიც წლებია გრძელდება და ლიდერებში იწვევს ოპორტუნისტულ, ოლიგარქიულ ქცევას. ამას შედეგად მო-აქვს კონფლიქტებისა თითქმის ინსტი-ტუციონალიზებული ციკლები, რაც იწვევს ახალი პარტიების გაჩენას, რომელთა ბედი ეფემერულობისკენ არის მიდრეკილი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი პარტიები აგრძელებენ ჩამოყალიბებას და განვი-თარებას ამ დამკვიდრებული მოდელის მიხედვით, „გირჩის“ მაგალითი - 2021 წლის დეკემბერის განხეთქილება-მდე - აჩვენებს, რომ სისტემის შიგნით პარტიული მშენებლობა სხვაგვარადაც შეიძლება. გამორჩეული პროგრამა, მდგრადი საკანონმდებლო კამპანია საარჩევნო ციკლის მიღმა, სამოქალაქო საზოგადოების მოძრაობებთან კავშირი, განსაზღვრულ ამომრჩეველზე ფოკუ-სირება და ინოვაციური სტრატეგიები - ეს ყველაფერი ხელს უწყობს მდგრადობის მიღწევას.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

დემოკრატია და ადამიანის უფლებები

„ძალაუფლების შენარჩუნება“

ქართული პარტიული სისტემის ეფემერულობა 2012 წლის შემდგომ პერიოდში

სარჩევი

1. შესავალი და მეთოდოლოგია 2

2. წარმოშობა, არჩევანი და ინსტიტუციური წყობა პარტიების „ეფემერულობის“ შესწავლა ახალ დემოკრატიულ მოძრაობებში 4

3. პარტიების ორგანიზება À LA GÉORGIENNE - 2012 წლის შემდგომი სურათი 7

4. სიტუაციური ანალიზი 11

ახალი პოლიტიკური ცენტრი – „გირჩი“ 11
პაატა ბურჭულაძე – „სახელმწიფო ხალხისთვის“ 13
„ლელო – საქართველოსთვის“ 14

5. დასკვნები 18

გამოყენებული ლიტერატურა 20

1

შესავალი და მეთოდოლოგია

საქართველოში 2020 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, ერთი მხრივ, გამოირჩეოდა შემდგომი პოლიტიკური კრიზისის ინტენსივობითა და ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ახლებური პოლიტიკური შეთანხმებით,[1] რომელმაც დაასრულა ეს კრიზისი. ამავდროულად, 2020 წლის არჩევნებმა გააჩინა კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ შესწავლილიყო ქართული პარტიული სისტემის მუდმივად გამოუკვლეველი, თუმცა საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული მახასიათებელი: ეფემერულობა.

პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის პერიოდის განმავლობაში, საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა მოიზიდა საკმაოდ ბევრი ახალი პოლიტიკური პრეტენდენტი. თითოეული მათგანი ქვეყანას ჰპირდება, რომ გაათავისუფლებს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემებისგან და დააყენებს განვითარებისა და წარმატების გზაზე. ამაში თავისთავად არაფერია განსაკუთრებული, განსაკუთრებით შედარებით ახალი დემოკრატიისა და პარტიული სისტემის პირობებში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ არჩევნების წინ ქართულ პარტიულ სისტემაში ახალბედები დიდი რაოდენობით შემოდიან. პერსპექტიული ახალი პოლიტიკური მოძრაობები, შედარებით ცნობილი, განათლებული და წარმატებული ლიდერებით, ვერ ამართლებენ მოლოდინებს და მათი საქმიანობა საბოლოოდ შეუსაბამო და ბუნდოვან ხასიათს იღებს.

ბოლო ათწლეული, რა თქმა უნდა, იყო ერთგვარი ბუმის პერიოდი პოლიტიკური ახალბედებისთვის მთელ მსოფლიოში, რამაც ახალი პოლიტიკური მოძრაობებისა და მათი გრძელვადიანი მდგრადობის უნარის შესწავლა უკიდურესად აქტუალური გახადა. ევროპაში თითქმის ყველა განვითარებულმა დემოკრატიულმა ქვეყანამ დაინახა, რომ ახალბედებმა დაარღვიეს პოლიტიკური სტატუს კვო ბოლო ათი წლის განმავლობაში და ბევრი ახალი პოლიტიკური მოძრაობა წარმოიქმნა კრიზისიდან (ევროპის ფინანსური კრახი,[2] ლტოლვილთა კრიზისი ან ბრექსიტი[3]). ატლანტის ოკეანეს მეორე მხარეს, 2016 წლის ნოემბერში შეერთებული შტატების პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევამ პოლიტიკური ახალბედების მზარდი წარმატებისთვის ახალი მიმართულებები გააჩინა. ზოგიერთმა ამ პარტიამ და მოძრაობამ, როგორც მემარცხენემ, ისე მემარჯვენემ, მოახერხა იმ უნიკალური კონტექსტიდან გამოსვლა, რომელშიც დაიბადა და ჩამოყალიბდა არჩევნებში მდგრად (თუ არა ყოველთვის გამარჯვებულ) პოლიტიკურ ორგანიზაციად. სხვა ორგანიზაციებმაც იგივე გაიარეს, თუმცა გაქრნენ ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვეში.[4]

საქართველო წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას ახალი პოლიტიკური მოძრაობების შესასწავლად, რადგან ის რამდენადმე სცილდება „ძველი“ დემოკრატიების ევროატლანტიკურ კონტექსტს, რომლებიც „ახალი“ კრიზისების გავლენის ქვეშ ექცევიან. ქვეყანა მოქცეულია გეოპოლიტიკური დაპირისპირების, ეკონომიკური დაუცველობისა და დემოკრატიზაციის პოსტსაბჭოთა გამოცდილების საკუთარ კონკრეტულ კონტექსტში. საქართველოს მაგალითმა შეიძლება შეავსოს ახალი პარტიების მზარდი კვლევა და ანალიზი ევროპაში. ამგვარად, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: **რატომ არის ამდენი ახალი სახე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე? რატომ კარგავს ამდენი მათგანი აქტუალობას და იღებს დაბალ რეიტინგს რამდენიმე საარჩევნო ციკლის შემდეგ? რა კავშირია ამ ფაქტორებს შორის: პარტიული წარმოშობა, ცვალებად პირობებთან პარტიის ადაპტაცია და პარტიის უნარი (უუნარობა) იარსებოს, როგორც გავლენიანმა პოლიტიკურმა აქტორმა?**

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ახალ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც 2012 წლიდან გაჩნდნენ საქართველოში. იმ წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომი პერიოდი წარმოადგენს „ლიბერალურ“ მომენტს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, რადგან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მზარდი რეპრესიული მთავრობისგან ძალაუფლება გადაეცა ახალ პოლიტიკურ ძალას - კოალიცია „ქართულ ოცნებას“. 2012 წლის შემდგომი პერიოდი ასევე საინტერესოა იმითაც, რომ მასში გამოჩნდნენ სხვადა-

1 https://carnegieeurope.eu/2021/05/10/defusing-georgia-s-political-crisis-eu-foreign-policy-success-pub-84494

2 მაგალითად, პოდემოსი ესპანეთში.

3 ალბათ, უფრო ცნობილია, როგორც ბრექსიტის პარტია დიდ ბრიტანეთში.

4 „შეცვალე დიდი ბრიტანეთი“, რომელიც 2019 წლის თებერვალში ლეიბორისტული და კონსერვატიული პარტიების ცენტრისტული დანაყოფებისგან შეიქმნა, დაიშალა დაარსებიდან სულ რაღაც 10 თვის შემდეგ, რადგან ვერ მოიპოვა ადგილი ევროპულ და საპარლამენტო არჩევნებში.

სხვა წარმომავლობის ახალბედები. ისინი წარმოიშვნენ პარტიული განხეთქილებიდან, საპროტესტო მოძრაობებიდან[5] ან „პოლიტიკური მეწარმეობიდან“, რამაც, პირველად დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში, ერთ სისტემაში მოაქცია საკმაოდ ბევრი, სხვადასხვა წარმოშობის „ახალი“ და „ძველი“ პარტია და მნიშვნელოვანი გახადა ქართული პოლიტიკური პარტიების თეორიული შესწავლა. და ბოლოს, საქართველოში 2012 წლიდან თითქმის ყოველწლიურად იმართება რაიმე სახის არჩევნები, რაც მუდმივ სტიმულს აძლევს როგორც ახალი, ისე ძველი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებასა და მონაწილეობას. ყველა ეს პირობა **2012 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს კვლევისთვის მიმზიდველ საგნად აქცევს.**

საქართველოს ამჟამინდელი მმართველი პარტია თავად იყო „წარმატებული“ ახალბედა პარტიულ სისტემაში (2012 წლის არჩევნებამდე მხოლოდ ექვსი თვით ადრე დარეგისტრირდა პარტიად და გაიმარჯვა). მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის სრული ისტორია და მისი უნარი გაუძლოს უამრავ ღრმა კრიზისს ბოლო წლებში მოიცავს უფრო ფართო კითხვებს მმართველობისა და სახელმწიფოს შესახებ, რომლებიც სცილდება საქართველოს პარტიული სისტემის წინამდებარე კვლევის სფეროს. **ამრიგად, ყურადღებას გავამახვილებთ პოლიტიკურ სფეროში ახალ პრეტენდენტებზე და მათ წარუმატებელ თუ წარმატებულ მცდელობებზე, გააძლიერონ თავიანთი პოზიციები ხელისუფლების გარეთ, მაგრამ თავიანთ პარტიული სისტემის შიგნით.**

ამ ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია **შერეული და მოქნილი მეთოდოლოგია.** პოლიტიკური პარტიების ფორმირებისა და გამძლეობის შესახებ აკადემიური ლიტერატურის ყურადღებით წაკითხვა შერწყმულია როგორც სამაგიდო კვლევასთან, ასევე ოფიციალურ ინტერვიუებთან პარტიების მშენებლობის შესახებ ზოგადად საქართველოში და კონკრეტული სამი შემთხვევის ანალიზთან. პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკის მრავალი კვლევის მეთოდოლოგიიდან გადახვევით, ეს ნაშრომი ასევე ეყრდნობა **თავად ავტორის პირად რეფლექსიას,** რათა დოკუმენტური სახით წარმოაჩინოს ქართული პარტიული სისტემის ფორმირება. ამ ნაშრომში გაშუქებული პერიოდის განმავლობაში ავტორი თავად იყო ჩართული პოლიტიკურ კამპანიებში, როგორც პარტიული სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ.[6] ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მისი რეფლექსია სრულყოფილს გახდის ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების აქ წარმოდგენილ სურათს.

წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი განიხილავს, თუ როგორ შეიქმნა პოლიტიკური პარტიების თეორია, განსაკუთრებით ახალ დემოკრატიებში, და როგორ განსაზღვრავს პარტიული წარმომავლობა, ელიტური არჩევანი და ინსტიტუციური წყობა ახალი დემოკრატიების პარტიული სისტემების გამძლეობას. შემდეგ, **მეორე თავში** განიხილება, თუ როგორ შეიძლება ეს თეორიული ცნებები და კლასიფიკაციები გავრცელდეს პარტიების ტიპებზე, რომლებიც საქართველოში გაჩნდნენ ბოლო 30 წლის განმავლობაში. და ბოლოს, **მე-3 თავი განიხილავს სამ ახალ პოლიტიკურ მოძრაობას**, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა 2012 წლის შემდგომ პერიოდში, და აღწერს, თუ როგორ ჯდებიან ეს პარტიები პირველ თავში ახსნილ თეორიულ მოდელში და მე-2 თავში აღწერილ პარტიულ სისტემაში. გავაანალიზებთ პარტიების ფორმირებისა და განვითარების პროცესს. ერთი პარტიის - „ლელო საქართველოსთვის“ - შემთხვევაში ავტორი შეეცდება პირადი გამოცდილების საფუძველზე წარმოაჩინოს პარტიის ფორმირების შიდა დინამიკა. და ბოლოს, მოცემულია დასკვნები და მიგნებები.

---

5 ახალი პოლიტიკური პარტიის „მოქალაქეების“ საწყისები შეიძლება ვეძებოთ 2009 წლიდან თბილისში ურბანული აქტივიზმის განვითარებაში.

6 ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ავტორი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პარტია „ქართული ოცნების“ ინგლისურენოვან საინფორმაციო ბიულეტენზე მუშაობდა; იგი 2017 წლის ოქტომბერში თბილისის საკრებულოს საბურთალოს რაიონის საკრებულოს წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო; მონაწილეობას იღებდა კამპანიაში, რომელიც პოლიტიკურად უკავშირდებოდა მერობის დამოუკიდებელ კანდიდატს ალექსანდრე ელისაშვილს (ამჟამად პოლიტიკური პარტიის - „მოქალაქეების“ თავმჯდომარე); მუშაობდა მემარცხენე ცენტრისტული მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის გრიგოლ გეგელიას კამპანიაში, რომელიც კენჭს იყრიდა მთაწმინდის რაიონში 2019 წლის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში; საბოლოოდ ჩაერთო პოლიტიკურ მოძრაობაში, მოგვიანებით პარტიაში „ლელო საქართველოსთვის“ და მუშაობდა პარტიის შიდა აუდიტის ორგანოს წევრად 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის ივნისამდე.

2

წარმოშობა, არჩევანი, და ინსტიტუციური წყობა: პარტიების ეფემერულობის შესწავლა ახალ დემოკრატიულ მოძრაობებში

წარმოშობა

იმისათვის, რომ გავიგოთ პარტიის ფორმირების, განვითარებისა და დაშლის პროცესი, აუცილებელია გავაანალიზოთ მისი წარმომავლობა. ამასთან დაკავშირებით, ნიკოლ ბოლეიერის ნაშრომმა ძველ, ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში გაჩენილ ახალ პარტიებზე (ბოლეიერი, 2013) ხელი შეუწყო იმის გაგებას, თუ როგორ აყალიბებს პარტიული წარმოშობა პარტიის ელიტის არჩევანის ფორმირებას ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის პროცესში.

ბოლეიერის მოდელი, ძირითადად, ერთმანეთისგან განასხვავებს იმ პარტიებს, რომლებიც „ფესვგადგმულნი“ არიან მანამდე არსებულ სოციალურ ფორმირებებში, და მათ, რომლებიც დაფუძნებულები არიან „მეწარმეების“ (ხშირად ლიბერალების, მაგრამ არა მხოლოდ) მიერ, რომლებმაც დაინახეს სიცარიელე საარჩევნო „ბაზარზე“. ფესვგადგმული პარტიების კლასიკური მაგალითი შეიძლება იყოს კლასიკური დასავლური დემოკრატიების სოციალისტური და ლეიბორისტული პარტიები და მათი წარმოშობა (ასევე მუდმივი კავშირები) პროფკავშირებიდან. მეორე ტიპს წარმოადგენენ მწვანეთა ან გარემოსდაცვითი პარტიები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ორგანიზებული საპროტესტო მოძრაობებიდან ან ეკლესიასთან დაკავშირებული ორგანიზაციებიდან წარმოშობილი რელიგიური პარტიებიდან. თეორიულად, „ფესვგადგმული“ პარტიები ასევე შეიძლება ჩამოყალიბდნენ კაპიტალისტური ინტერესების ჯგუფებიდან, რადგან ასეთი ჯგუფები ძალიან ორგანიზებულნი არიან. მეორე მხრივ, სამეწარმეო პარტიები იქმნება ინდივიდების ან ჯგუფების მიერ, რომლებიც აშკარად არ არიან დაკავშირებული არსებულ სოციალურ ფორმირებებთან. ეს პოლიტიკური „მეწარმეები“ შეიძლება იყვნენ ქარიზმატული პოლიტიკოსები, რომლებიც ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ან პიროვნებები, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ ცნობადობით ბიზნესში ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში საქმიანობის წყალობით. ბოლეიერი ამტკიცებს, რომ ეს განსხვავება ასახავს „ძირითად სტრუქტურულ წინაპირობებს... რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში სავარაუდოდ მოახდენენ პარტიის ევოლუციის ფორმირებას“ (ბიზენი, 2005).

არჩევანი

პარტიის ევოლუციის ტრაექტორია დამოკიდებულია იმ არჩევანზე, რომელსაც მხარეები ინარჩუნებენ. აქ ბოლეიერს შემოაქვს კიდევ ერთი ფუნდამენტური განსხვავება. პარტიებმა შეიძლება აირჩიონ „ინსტიტუციონალიზაცია“ და რესურსების ფოკუსირება მოახდინონ პარტიული სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც გაუძლებს ხელმძღვანელობის ცვლილებას, ან შეუძლიათ მოახდინონ პარტიის ხელმძღვანელობის ძალაუფლების კონსოლიდაცია ორგანიზაციის მმართველობის ზემოთ. ბოლეიერის მტკიცებით, აირჩევს თუ არა პარტია „ინსტიტუციონალიზაციას“, ამას ნაწილობრივ აყალიბებს შემდეგი ფაქტორები: სტრუქტურული პირობები, რომლებშიც ის ჩამოყალიბდა (ანუ მისი წარმოშობა), ასევე „მისი ხელმძღვანელობის უნარი გადალახოს ინსტიტუციონალიზაციის პროცესის თანმხლები ძირითადი დაძაბულობა (კერძოდ, დაძაბულობა პარტიების დამფუძნებლების ინტერესებს შორის, რათა დაიცვან საკუთარი გავლენა პარტიაში) და ინვესტიციის აუცილებლობა ქმედითუნარიან პარტიულ ინფრასტრუქტურაში, რომელიც ავტონომიურია მისი ამჟამინდელი ხელმძღვანელობისგან“ (ბოლეიერი, 2013).

რაც შეეხება საარჩევნო გამძლეობის მიღწევას, შიდა კრიზისების გაძლების უნარსა და საჯარო თანამდებობაზე ყოფნის ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს, ბოლეიერი ამტკიცებს, რომ არსებობს კავშირი პარტიულ წარმომავლობას, პარტიულ არჩევანსა და სხვა ფაქტორებს შორის (როგორიცაა პარტიის პოლიტიკის პროგრამის გამორჩეულობა), რაც შეიძლება წარმოადგენდეს პარტიის წარმატების ან წარუმატებლობის ერთგვარ ინდიკატორს. „ფესვგადგმული“ პარტიები, როგორც წესი, სარგებლობენ საწყისი არასაპარლამენტო სტრუქტურის უპირატესობით, რომელიც ხელს უწყობს ძალაუფლების დაბალანსებას წევრებს, აღმასრულებელ და საპარლამენტო პარტიას შორის. ეს პროცესი ასევე ეხმარება „ღირებულების დამკვიდრებას“ - პარტიის წევრების გაერთიანებას საერთო მორალური და პოლიტიკური ფასეულობების გარშემო, საზოგადოებრის სამსახურში პარტიის ჩადგომის დროს, მანამდე ან მის მერე. ამ „ფესვგადგმული“ პარტიებისთვის, გამარჯვების სტრატეგია გულისხმობს ფოკუსირებას „რეკრუტირების სტრატეგიების რუტინიზაციაზე და კონფლიქ-

ტების გადაწყვეტაზე". მეორე მხრივ, „სამეწარმეო" პარტიებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ არასაპარლამენტო სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც გაუძლებს „ხელმძღვანელობის ცვლილებებსა და საარჩევნო ვარდნას" (კასალ ბერტოა, 2016). იმდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა, რომ ხშირად ფესვგადგმული პარტიებიც კი, როდესაც მათი ლიდერები ავლენენ სამეწარმეო ტენდენციებს, დროთა განმავლობაში სუსტდებიან და იღუპებიან.

ინსტიტუციური წყობა - ახალი დემოკრატიები

მიუხედავად იმისა, რომ პარტიულმა წარმომავლობამ და პარტიულმა არჩევანმა შეიძლება მოგვცეს მინიშნებები პარტიის გრძელვადიანი წარმატების ან წარუმატებლობის პერსპექტივის შესახებ, უფრო სრულყოფილ სურათს ქმნის მხოლოდ იმ ინსტიტუციური წყობის გათვალისწინება, რომელშიც მოძრაობები ჩნდებიან და აგრძელებენ ფუნქციონირებას. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ ისტორიული პერიოდი, რომელშიც პარტია ჩნდება, დიდწილად განსაზღვრავს მის წარმოშობას და, შესაბამისად, მის მომავალ ტრაექტორიას. დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ მმართველი პარტიები, რომელთა წარმოშობაც საუკუნეზე მეტი ხანს ითვლის. ისინი იმ დროიდან იღებენ სათავეს, როდესაც მიმდინარეობდა კლასების ფორმირებისა და ბრძოლის პროცესები და ხმის უფლების მქონე საზოგადოების გაფართოება მცირე, მიწის მესაკუთრე ელიტის მიღმა. ეს პარტიები წარმოიშვა სოციალური განხეთქილების შედეგად - მაგალითად, კლასობრივ ჯგუფებს შორის - და ჩამოყალიბდა საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ინტერესების გასამყარებლად. თავიდანვე ეს პარტიები სარგებლობდნენ კავშირებით სამოქალაქო საზოგადოებასთან და კაპიტალისტურ ინტერესთა ჯგუფებთან და მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირები დროთა განმავლობაში შეიცვალა (ზოგ შემთხვევაში რადიკალურად), კვლავ გავლენას ახდენენ პარტიების მიერ გაკეთებულ არჩევანზე მათი არსებობის მანძილზე.

ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ ეს სცენარი რადიკალურად განსხვავებულ კონტექსტს, რომლიდანაც პარტიები წარმოიშვნენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის პოსტკომუნისტურ პოლიტიკაში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. აქ პარტიები ჩნდებიან საზოგადოებაში, რომელშიც კაპიტალისტური ინტერესების ჯგუფები არასაკმარისად ჩამოყალიბებულია და ოლიგარქიულია, სამოქალაქო საზოგადოება არის პატარა და ნელა ვითარდება, ხოლო თავისუფალი, დამოუკიდებელი პროფკავშირები იშვიათად გვხვდება. ბევრ პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში პარტიასთან კავშირი ასევე ატარებს უარყოფით სოციალურ კონოტაციებს. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურ სამყაროში პარტიები ჩნდებიან ყოველგვარი წარმომადგენლობის გარეშე „ადგილზე". შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, პირველი პარტიები, რომლებიც ამოქმედდნენ, იყვნენ „უფესვო" (ან სულ მცირე, „ფესვგაუდგმელი") და „სამეწარმეო". მათი ლიდერები კი, ხშირ შემთხვევაში, ძველი რეჟიმის რეფორმირებულ ფიგურებს წარმოადგენდნენ. როგორც თეორეტიკოსი ინგრიდ ვან ბიზენი აღნიშნავს, მაშინაც კი, როდესაც დემოკრატიზაცია ხდება მასობრივი მობილიზაციის ტალღის მეშვეობით, ეროვნული მოძრაობები არც საკმარისად თანმიმდევრულია და არც საკმარისად ძლიერ სოციალურ დაყოფას წარმოადგენენ, რომ საფუძველი მისცენ ახალ, ფესვგადგმულ ორგანიზაციებს (ბიზენი, 2003).

ისიც აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტური გარემოს თავისებურებები გავლენას ახდენს პარტიის განვითარებაზე და განაპირობებს ელიტის არჩევანს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პოსტკომუნისტური პოლიტიკა თავიდანვე გულისხმობდა „არა იმდენად პოლიტიკას, რამდენადაც სახელმწიფოს ორგანიზებას" (ბიზენი, 2005). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი საკითხები იყო არა რესურსების განაწილება და პოლიტიკური წარმომადგენლობა (ჩამოყალიბებული დემოკრატიების სტანდარტული მახასიათებელი), არამედ რეჟიმის ცვლილების ბუნება და მიმართულება, „თამაშის წესები" და ახალი კონსტიტუციური წესრიგის ფორმა. შესაბამისად, ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიები ყოველთვის ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი იდეოლოგიით, ვიდრე მათი კოლეგები ძველ დემოკრატიებში.

მეორეც, იმ ფაქტმა, რომ მანამდე არ არსებობდა ჩამოყალიბებული სოციალური კავშირები, ხელი შეუწყო პარტიების ჩამოყალიბებას, რომლებიც გულგრილები არიან დიდი და აქტიური წევრობების განვითარების მიმართ. პარტიის ოფისები, როგორც წესი, შედგება ანაზღაურებადი პროფესიონალებისგან და აქტიურ მოხალისე წევრებს მცირე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. წევრობისა და კავშირისადმი ამ გულგრილობის კიდევ ერთი სიმპტომია არაწევრი, „დამოუკიდებელი" კანდიდატების ფენომენი, რომლებიც თანამდებობებისთვის პარტიული ბანერებით იბრძვიან. ეს საკმაოდ გავრცელებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში[7] და იშვიათად, ან საერთოდ არ გვხვდება უფრო ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სისტემებში.[8] აქტიური წევრობის მიმართ ამ გულგრილობის სხვა სიმპტომები მოიცავს პარტიების მინიმალურ წარმომადგენლობას ქალაქებს გარეთ და, რა თქმა უნდა, ფორმალური კავშირების ნაკლებობას პარტიებსა და ისეთ ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის, როგორიცაა პროფკავშირები, ბიზნეს ასოციაციები, სამოქალაქო საზოგადოება და საპროტესტო მოძრაობები (ბიზენი, 2003).

---

7 საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს და მას მხარს უჭერდა მმართველი პარტია. იგი ზუსტად ასევე აირჩიეს პარლამენტში 2016 წელს დამოუკიდებელ მაჟორიტარად თბილისის მთაწმინდის ოლქში.

8 ერთ-ერთი მსგავსი ფენომენი, რომელიც შეიძლება შევადაროთ, არის ჩრდილოეთ ირლანდიაში „დამოუკიდებელი უნიონისტების" არსებობა, რომლებსაც ხშირად ირჩევდნენ ვესტმინსტერის პარლამენტში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დამოუკიდებელ პირებს, როგორც წესი, ირჩევენ კომიტეტები, რომლებიც შედგებიან ადგილობრივი პროტესტანტული ორგანიზაციების წევრებისგან. მათ ირჩევენ მმართველი პარტიების სტანდარტული შერჩევის პროცედურებით.

და ბოლოს, გასათვალისწინებელია, რომ ბევრი პარტია გაჩნდა ისეთ საარჩევნო გარემოში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სუბსიდიები კანონით იყო განსაზღვრული დემოკრატიზაციის პროცესის დასრულებისას ან შედარებით ადრეულ ეტაპზე. ბევრი პარტიისთვის სახელმწიფო სუბსიდიები წარმოადგენს დეკლარირებული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდის მიღმა, ხოლო საწევრო გადასახადი (არსებობის შემთხვევაში) დაფინანსების თითქმის უმნიშვნელო წყაროა. ეს შეიძლება განსხვავდებოდეს იმ პირობებისგან, რომლებშიც პარტიები განვითარდნენ უფრო ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ადრეულ ეტაპზე გაჩნდა სტიმული, განევითარებინათ კავშირები ორგანიზებულ ჯგუფებთან, რომლებსაც შეეძლოთ ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა, ხოლო სახელმწიფო სუბსიდიები შემოღებული იქნა პარტიების განვითარების შემდგომ საფეხურზე. ახალი დემოკრატების მქონე ქვეყნებში ეს გარემო დაკავშირებულია პარტიების განვითარების ორ ძირითად პროცესთან. პირველი, სახელმწიფო სუბსიდიები ასტიმულირებს პოლიტიკურ პარტიებს étatisation-ის (სახელმწიფოებრიობის) ადრეულ ეტაპზე, უბიძგებს მათ იყვნენ სახელმწიფოზე და არა ამომრჩეველზე დამოკიდებულები. მეორე, ხელს უწყობს პარტიების შიდა ოლიგარქიზაციას, როდესაც პარტიული ელიტა ანგარიშვალდებული არ არის ძალაუფლების არმქონე წევრების წინაშე. პარტიული ოლიგარქიზაციის ერთ-ერთი ბუნებრივი შედეგია მთავარი ფიგურების დამკვიდრება პარტიის ლიდერებად, ხოლო ხელმძღვანელობის მშვიდობიანი შეჯიბრებები გაცილებით იშვიათია, ვიდრე განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში.[9]

ეფემერულობა

სანამ განვიხილავთ, როგორ დაგვეხმარება ეს თეორიული დაკვირვებები პროგნოზები გავაკეთოთ ახალი პარტიების წარმატების პერსპექტივების შესახებ ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, ჯერ უნდა განვსაზღვროთ რას ვგულისხმობთ „წარმატებაში“ და „მარცხში“. ბოლეიერის მოდელი მოიცავს მოკლევადიანი „გადარჩენის“ განმარტებებს, რომელსაც იგი უწოდებს „მდგრადობას“. ეს აღნიშნავს პარტიის ინსტიტუციონალიზაციის უნარს (ანუ მტკიცე არასაპარლამენტო სტრუქტურის შემუშავებას), რაც მას ხელს შეუწყობს გადარჩეს არჩევნებში წაგების შემთხვევაში საწყის ეტაპზე. ითვლება, რომ პარტიამ მიაღწია „მდგრადობას“, თუ ათწლეულების შემდეგაც რჩება პარტიული სისტემის ნაწილად, წარადგენს კანდიდატებს და მონაწილეობს პოლიტიკურ დებატებში.

9 ეს დაკვირვებები არ უნდა იქნეს მიღებული როგორც არგუმენტი პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების წინააღმდეგ და სახელმწიფო სუბსიდიების საკითხი აქ მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ არის ნახსენები, თუ როგორ შეიძლება საწევროს გადამხდელი წევრების წინაშე ანგარიშვალდებულების ნაკლებობამ გამოიწვიოს ოლიგარქიული ხელმძღვანელობის რეჟიმი განვითარების ადრეულ ეტაპზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს პარტიის გრძელვადიანი გამძლეობის პერსპექტივაზე.

გამძლეობის საპირისპირო მაჩვენებლის გაზომვაც რთულია. სახელმწიფო დაფინანსება მცირე პარტიებს საშუალებას აძლევს განაგრძონ არსებობა და კანდიდატებიც კი წარადგინონ, მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი საარჩევნო მხარდაჭერა გაქრება. ზოგიერთი ასეთი პარტია ახერხებს გადარჩეს უფრო დიდი, უკეთესი რესურსებით აღჭურვილი პარტიების ხარჯზე, ხდებიან „პარაზიტები“ და უერთდებიან საარჩევნო ბლოკებს. შესაბამისად, „პარტიის სიკვდილი“, რეგისტრაციიდან მოხსნის და გაქრობის გამო, იშვიათი მოვლენაა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პარტიების უმეტესობა ინარჩუნებს „სიცოცხლის ხანგრძლივობას“ მინიმალური საარჩევნო წარმატებითაც.

მაშასადამე, ამ ნაშრომის მიზნებისთვის, „ეფემერულობა“ განიმარტება უბრალოდ, როგორც **პარტიის წარუმატებლობა, გაზარდოს თავისი ხმების წილი პროპორციული ხმების 5%-ზე მეტით ზედიზედ სამი არჩევნების განმავლობაში, საარჩევნო ბლოკში მონაწილეობის გარეშე.** ეს სამი კრიტერიუმი შეიძლება ზუსტად არ იყოს შერჩეული. თუმცა ისინი შეირჩა იმისთვის, რომ გარკვეული ემპირიული საფუძველი მიეცეს იმ განსხვავებებს, რომლებიც ხშირად რთული და სუბიექტურია. ჩვენი მიზანი მხოლოდ იმ პარტიების იდენტიფიცირებაა, რომლებსაც ნებისმიერი საშუალებით შეუძლიათ (ან არ შეუძლიათ) მოიზიდონ საკმარისი რესურსები და გამოიყენონ ეს რესურსები საარჩევნო მხარდაჭერის მნიშვნელოვნად გასაზრდელად. ანალოგიურად, „ეფემერული“ შეიძლება არ იყოს ისეთი პარტიების ყველაზე ზუსტი აღწერა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აგრძელებენ არსებობას ხმების ძალიან მცირე რაოდენობის მიუხედავად. თუმცა ეს ტერმინი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გზა აღწეროს სხვაობა, რომელიც არის ახალი პარტიის თავდაპირველი ფორმირების დროს მის ირგვლივ ატეხილ „აჟიოტაჟსა“ და მოლოდინებს და არჩევნებში მოპოვებულ მის რეალურ შედეგებს შორის.

რომ შევაჯამოთ, ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ განვითარებულ დემოკრატიულ სისტემებში პარტიების განვითარების შესახებ არსებული თეორიებიდან. მაგრამ საბოლოო ჯამში, პოსტსაბჭოთა პოლიტიკაში პარტიული მშენებლობა უნდა განიხილებოდეს, როგორც sui generis (ლათ. უნიკალური) პროცესი. როგორც ბოლეიერი ამტკიცებს, წარმომავლობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ახალ დემოკრატიებში პარტიები ყოველთვის ატარებენ განსხვავებულ „ტვირთს“ - შეზღუდვების, იმპულსებისა და წახალისების თვალსაზრისით - ვიდრე მათი კოლეგები ძველ დემოკრატიულ სისტემებში. ფუნდამენტურად, პარტიის გამძლეობა და საარჩევნო წარმატება ორივე სისტემაში დამოკიდებულია პარტიის ლიდერების უნარზე, უპირატესობა მიანიჭონ პარტიულ მშენებლობას საკუთარი ვიწრო პირადი ინტერესების ნაცვლად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა დემოკრატიული ტრანზიციის განსაკუთრებული პირობები საქართველოს მსგავს ქვეყნებში სიმძიმეს მატებს ახალ პარტიებს და სასწორს ეფემერულობის სასარგებლოდ გადაწონის.

3

პარტიების ორგანიზება *À LA GÉORGIENNE* – 2012 წლის შემდგომი სურათი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ პოსტსაბჭოთა დემოკრატიული ქვეყნების საერთო მემკვიდრეობიდან. თუმცა ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვიყვანოს პოსტსაბჭოთა სივრცის მონოლითურ ან ჰომოგენურ აღქმამდე. პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში რეჟიმის ტიპების დიდი მრავალფეროვნებაა - დაწყებული ბალტიის რეგიონის ევროკავშირის წარმატებული წევრი დემოკრატიული ქვეყნებიდან და დამთავრებული თურქმენეთის „ჰერმეტული სამეფოთი“. ამავდროულად, ყოველმა ახალმა პოლიტიკურმა წყობამ გამოსცადა თავისი კონკრეტული პოლიტიკური გამოწვევები, მათ შორის სეპარატისტული კონფლიქტები და სამოქალაქო ომები, „ფერადი რევოლუციები“ და სხვადასხვა ხარისხის ჩარევა და ჩართულობა ძალაუფლების ძველი ცენტრის ანუ ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის მხრიდან. დამატებითი მახასიათებლები მოიცავს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, კონფლიქტებისა და ძალადობის ადგილობრივ დინამიკას, ბუნებრივი რესურსების რენტას და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. და ბოლოს, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია, დასავლეთის ინსტიტუციური წარმომადგენლობა და/ან ზეწოლა წარმოადგენს კიდევ ერთ ძაფს პოსტსაბჭოთა პოლიტიკის მრავალფეროვან გობელენზე - ეს ყველაფერი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, აყალიბებს პარტიულ სისტემებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში სიტუაცია დაუყოვნებლივ გადაიზარდა ტერიტორიულ კონფლიქტში, რაც კარგად არის დოკუმენტირებული. ასევე კარგად არის ცნობილი საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ და ქვეყნის, როგორც პროდასავლური რეფორმების მაგალითის, შემდგომი გლობალური პოპულარიზაციის ისტორია. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის საგანია 2012 წლის შემდგომი პერიოდის საქართველო, ეს მოკლე მონაკვეთი ქართული პარტიული სისტემის შესახებ ასახავს წინა საარჩევნო პერიოდის ნარატივს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რომლის შედეგიც იყო ქვეყანაში ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემა ერთი ძალიდან მეორეზე.

2011 წლისთვის ცხადი გახდა, რომ სააკაშვილის პარტიამ დაკარგა ლეგიტიმაცია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რუსეთთან და სეპარატისტულ რესპუბლიკებთან მზარდი დაძაბულობის ფონზე, სააკაშვილის მთავრობა ცდილობდა ოპოზიციის ჩახშობას ქვეყნის მედია საშუალებების კონტროლის გზით. ამ მოვლენებში აღსანიშნავია პოლიციის ძალების მიერ ტელეკომპანია „იმედზე“ მიტანილი შტურმი. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში ქვეყნის დამანგრეველმა ომმა რუსეთის ფედერაციასთან ქართველი ერი აღძრა რუსული აგრესიის წინააღმდეგ, მას ასევე მოჰყვა ლტოლვილთა ახალი ტალღა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან და ბევრ ადამიანს დარჩა იმის განცდა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. მოქალაქეების თვალთვალმა და პოლიციის მიერ განხორციელებულმა დარბევებმა კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბულობა ქვეყანაში.

სწორედ ამ არეულ ატმოსფეროში გამოჩნდა ახალი პრეტენდენტი მილიარდერი ბიზნესმენის - ბიძინა ივანიშვილის სახით. ივანიშვილს პირადი ქონება[10] ძირითადად რუსეთში საქმიანობიდან ჰქონდა დაგროვებული და ის 2012 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 46%-ის ექვივალენტი იყო (ლებანიძე და კაკაჩია, 2017). მას ასევე უკავშირდებოდა ფონდ ქართუს მეშვეობით განხორციელებული მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება. ამ დიდმა პირადმა ქონებამ და უხვი პიროვნების რეპუტაციამ ივანიშვილს მნიშვნელოვანი ეროვნული ლეგიტიმაცია მისცა და მან წამოიწყო ფართო და ყოვლისმომცველი საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბება. მისი ახალი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ბლოკს, რომელიც აერთიანებდა მრავალ ოპოზიციის ლიდერს და მოძრაობას მთელი პოლიტიკური სპექტრიდან. 2012 წელს ციხის წამების სკანდალის შემდეგ ბლოკი ხელისუფლებაში მოვიდა, იმავე წლის საპარლამენტო არჩევნების გზით.

სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ ამ საარჩევნო მარცხმა კრიზისში ჩააგდო. იმის გამო, რომ ქვეყანაში სააკაშვილის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის ბრალდება იყო აღძრული და თანამდებობის იმუნიტეტით ვეღარ სარგებლობდა, ის იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო ჯერ აშშ-ში, შემდეგ კი

10 $4.8 მილიარდი 2020 წელს https://www.forbes.com/profile/bidzina-ivanishvili/#72a578234598

უკრაინაში. სააკაშვილის მცდელობამ, რომ პარტია დისტანციურად ემართა ვიდეო კონფერენციების საშუალებით, დაძაბულობა გააჩინა და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვამ 2015 წელს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ამ კრიზისიდან ორი ახალი მოძრაობა წარმოიშვა. პირველი იყო ლიბერტარიანული ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“, რომელიც ზურაბ ჯაფარიძემ დააარსა (ამ პარტიას ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ). მეორე კი იყო „ახალი საქართველო“, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობისგან“ წამოსული პოლიტიკოსი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ვაშაძე ხელმძღვანელობდა.

2016 წლის ოქტომბერში საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. რამდენიმე კოალიციურმა პარტნიორმა ამ დროისთვის უკვე დატოვა მმართველი პარტია - „ქართული ოცნება“. პარტიამ მოირგო მმართველობის სტილი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც *არჩევითი ან ოლიგარქიული არაფორმალური მმართველობა* (ლებანიძე და კაკაჩია, 2017) და პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა, რითაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხმების წილი 27.11%-მდე შემცირდა.[11] 2017 წლის იანვარში, პარტიის 27 დეპუტატიდან 21-მა დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩამოაყალიბა მემარჯვენე ცენტრისტული პარტია, სახელწოდებით „ევროპული საქართველო“, რომელმაც არაერთგვაროვანი წარმატება მოიპოვა მომდევნო არჩევნებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს პრეტენზია პოსტსაბჭოთა საქართველოში იყოს პირველი ყოფილი მმართველი პარტია, რომელიც ძალაუფლების დაკარგვის მიუხედავადაც განაგრძობს არსებობას. შევარდნაძის დროს კომუნისტური პარტია გაქრა, რაც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მომხდარა. ანალოგიურად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შევარდნაძის „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ (სმკ) ვერ შეძლო საკუთარი თავის ხელახალა დამკვიდრება სხვა ფორმით. შესაძლოა, მმართველ პარტიულ სისტემაში „ნაციონალური მოძრაობის“ გამძლეობის საიდუმლო (მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა წევრმა დატოვა იგი) დევს საქართველოს პოლარიზებულ საინფორმაციო გარემოში. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს და მანამდეც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ოპოზიციური მესიჯების გავრცელებაში და შემდგომშიც სააკაშვილის მთავრობის ერთგული დარჩა. 2012 წელს ხელისუფლების გადაცემის კვალდაკვალ, კომპანია ახალი მიმართულებით წავიდა სააკაშვილის ერთგული პირის - ნიკა გვარამიას (რომელიც ყოფილ მთავრობაში მინისტრის თანამდებობებს იკავებდა) ხელმძღვანელობით. 2012 წლის შემდგომ პერიოდში რუსთავი 2-მა გააერთიანა ინოვაციური გასართობი პროგრამები და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მწვავე კრიტიკა 2019 წლამდე, როდესაც სასამართლოს გაადწყვეტილებით მესაკუთრე შეიცვალა და ამან რედაქციის ახალი მიმართულება გამოიწვია. მას შემდეგ, ნიკა გვარამიას სენსაციურმა ანტისამთავრობო ჟურნალისტიკამ გადაინაცვლა ახლად დაარსებულ „მთავარ არხში“ და ჩამოაყალიბა თანამედროვე საქართველოს აღქმა (ბევრის მიერ გაზიარებული), რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნება“ კრემლის კორუმპირებული ლაქიაა.

წინამდებარე ნაშრომი არ ეხება საქართველოს მმართველი პარტიების ტიპოლოგიას. მაგრამ ზემოაღნიშნული დაკვირვებები მნიშვნელოვანია ამ კვლევისთვის, ვინაიდან მმართველი პარტიები ტრადიციულად წარმოადგენენ ახალი პოლიტიკური ძალების ძირითად წყაროს ქართულ პარტიულ სისტემაში. რვა ოპოზიციური პარტიიდან, რომლებმაც მოიპოვეს მანდატები 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, სამი გაჩნდა ყოფილ მმართველ პარტიაში განხეთქილების შედეგად. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის როგორც ყოფილი მმართველი პარტია, ასევე პარტიული გაყოფის შედეგად წარმოშობილი პოლიტიკური ძალა.[12] დანარჩენ ოთხს შეადგენს ორი ახალი, ლიბერალური პარტია („ლელო საქართველოსთვის“ და „მოქალაქეები“), ერთი ახალი კონსერვატიული პარტია (2012 წლით დათარიღებული) და საქართველოს ლეიბორისტული პარტია, რომელიც ოპოზიციაშია 1995 წლიდან - დღიდან მისი დაარსებისა.

რითი შეიძლება ავხსნათ ასეთი დიდი რაოდენობის დაყოფა? უნდა გავითვალისწინოთ, რომ დამოუკიდებლობის მომენტიდან დღემდე საქართველო არასტაბილურია როგორც ეკონომიკურად, ასევე ინსტიტუციურად. ეს არასტაბილურობა ხელს უშლის გრძელვადიან დაგეგმვას და ასტიმულირებს ოპორტუნისტულ, მოკლევადიან პოლიტიკურ გათვლებს. წარმატების შანსების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, პრეტენდენტები ცდილობენ აირჩიონ რაც შეიძლება ფართო პოლიტიკური სპექტრი, შექმნან ფრაქციული კოალიციები და ბლოკები, რომელთა პოლიტიკური ლიდერებიც არ არიან კონკრეტულ ჯგუფთან კავშირში. „ნაციონალური მოძრაობაც“ და „ქართული ოცნებაც“ ხელისუფლებაში სხვა პარტიების მხარდაჭერით მოვიდნენ და ორივემ განიცადა კოალიციური პარტნიორების განდგომა ძალაუფლების მოპოვებიდან რამდენიმე წელიწადში. როგორც კი ისინი მოიშორებენ კოალიციურ პარტნიორებს, პარტიის ლიდერებს არ უჩნდებათ სურვილი, დააბალანსონ ძალაუფლება საკუთარ პარტიებში. ოლიგარქიულ მმართველსა და პარტიის საპარლამენტო ფრთას შორის დაძაბულობა საბოლოოდ იწვევს განდგომების მორიგ რაუნდს.

ხელისუფლებაში მოსვლიდან თითქმის 9 წლის შემდეგ, პარტია „ქართული ოცნება“ თვითონ დგას დაშლის წინაშე. 2019 წლის ივნისში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომ მოწვეული რუსი დეპუტატი საპარლამენტთაშორისო შეხვედრის თავმჯდომარე ყოფილიყო, გამოიწვია ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები მთავრობის წინააღმდეგ. „ქართულმა ოცნებამ“ ამის საპასუხოდ მოახდინა შეთავაზება, რომ მიიღებდა კანონს საპარლამენტო

11 იხილეთ ლებანიძე და კაკაჩია (2017 წ), ანალიზისთვის, თუ როგორ იმოქმედა სააკაშვილის დისტანციურმა ჩარევამ მისი პარტიის კამპანიაზე საქართველოში.

12 „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“.

ცხრილი 1
2020 წლის ოქტომბერში/ნოემბერში პარლამენტში არჩეული პარტიები და მათი წარმომავლობა

პარტია	მიღებული %	ადგილები	დაარსების თარიღი	წარმოშობა
„ქართული ოცნება“	48.22	90	2012	ახალი პარტია - კოალიცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“	27.18	36	2001	გამოყოფილია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირიდან“
„ევროპული საქართველო“ (თავისუფალ დემოკრატებთან)	3.79	5	2017	გამოყოფილია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან
„ახალი საქართველო – სტრატეგია აღმაშენებელი“	3.15	4	2016	გამოყოფილია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან
„ლელო საქართველოსთვის“	3.15	4	2019	ახალი პარტია - „მეწარმე“
„პატრიოტთა ალიანსი“	3.14	4	2012	ახალი პარტია -„მეწარმე“
„გირჩი“	2.89	4	2015	გამოყოფილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“
„მოქალაქეები“ **	1.33	2	2020	ახალი პარტია - „ფესვგადგმული“ / „მეწარმე“
„ლეიბორისტული პარტია“	1.00	1	1995	ვეტერანი პარტია (1995 წ.)

* ეს წარმოადგენს პარტიის წილს პროპორციულ ხმებში. ამ პარლამენტის ასარჩევად გამოყენებული სისტემით, 120 მანდატი ნაწილდებოდა „პარტიული სიით“ კენჭისყრის შედეგების მიხედვით (როდესაც ამომრჩევლები ირჩევდნენ სასურველ პარტიას), დანარჩენი 30 ადგილი კი ეკუთვნოდა „მაჟორიტარული“ სისტემით გამარჯვებულ კანდიდატებს (აღნიშნულ კანდიდატებს ხმების 50%-ის მოპოვების შემდეგ ირჩევდნენ). იმ შემთხვევაში, თუ წამყვანი კანდიდატი ვერ იღებდა ხმების 50%-ს ოლქში, ორ წამყვან კანდიდატს შორის ტარდებოდა მეორე ტური.

** ალეკო ელისაშვილის კანდიდატურა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე წარმოიშვა მზარდი ურბანული საპროტესტო მოძრაობის შედეგად, რომელშიც ის წარმოადგენდა გამოჩენილ ფიგურას. იგი ამ მოძრაობის მხარდაჭერით სარგებლობდა 2017 წელს თბილისის მერობის კამპანიის დროს. ბოლეიერის მიერ წარმოდგენილი ტიპოლოგიის მიხედვით, ავტორი ელისაშვილს განსაზღვრავს, როგორც ნახევრად „ფესვგადგმული“, შეზღუდული გავლენის მქონე მოძრაობის „მეწარმე“ ლიდერს.

არჩევნებისთვის მთლიანად პროპორციული სისტემის შემოტანისა და ბარიერის შემცირების შესახებ. როდესაც მაჟორიტარი დეპუტატების აჯანყების შემდეგ რეფორმის კანონპროექტი ვერ მიიღეს, პროტესტი განახლდა და „ქართული ოცნების“ ბევრმა ცნობილმა წევრმა პროტესტის ნიშნად პარტია დატოვა. ამ დეპუტატთაგან ზოგიერთმა შექმნა ახალი პარტია „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, რომელმაც 2020 წლის ოქტომბერში[13] ხმების მხოლოდ 0,43%[14] მიიღო და შედეგად ერთი ადგილიც ვერ მოიპოვა პარლამენტში.

გარდა ამ დაშლის შემდგომი ფორმირებებისა, ახალი პარტიებიც ჩამოყალიბდნენ ფილანტროპიისა და ბიზნესის სამყაროს მოღვაწეთა გარშემო. ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში ჯერ 2015 წლის ნოემბერში სოციალური მოძრაობის შექმნით მოვიდა, შემდეგ კი 2016 წლის მაისში პოლიტიკური პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ დააარსა. ამ პარტიამ დაამკვიდრა პოლიტიკაში შესვლის ახალი მოდელი, რომელიც სხვა ახალბედებმაც გამოიყენეს 2012 წლის შემდგომ პერიოდში: სოციალური მოძრაობის დაარსება, შემდეგ არჩევითი რეკრუტირება და საბოლოოდ, პარტიის ოფიციალური სტატუსი. ალეკო ელისაშვილი 2014 წელს აირჩიეს თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ წევრად და 2017 წელს კენჭს იყრიდა მერის თანამდებობაზე. არჩევნებში მონაწილეობის შემდეგ მან მალევე დააარსა „სამოქალაქო მოძრაობა“, რომელიც ახლა უკვე პოლიტიკურ პარტიად „მოქალაქეებად“ არის გადაკეთებული. ზუსტად ასევე, 2019 წლის ზაფხულში მამუკა ხაზარაძემ „ლელო“ დააარსა სოციალურ მოძრაობად, რომელიც იმავე წლის დეკემბერში პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნა. მოთხოვნები სოციალური მოძრაობებისთვის, რომლებიც ხშირად რეგისტრირდებიან, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე პოლიტიკური პარტიებისთვის. ეს ახალ მოძრაობებს საშუალებას აძლევს განავითარონ რეგიონული ქსელები, დაიქირაონ პერსონალი და მიიღონ დაფინანსება პარტიად ოფიციალურად დარეგისტრირებამდე. სავარაუდო მომავალი პოლიტიკური პარტიის არსებობა ახალ მოძრაობებს ასევე ათავსებს გამოკითხვების რადარზე, რაც ახალ პარტიებს საშუალებას აძ-

13 ფაქტობრივად, 2020 წლის გამოკითხვის შედეგები წარმოადგენს მწარე გაკვეთილს ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი „განდგომილისთვის“, რომელსაც აქვს თავისი ყოფილი პარტიის ჩანაცვლების იმედი. ყოფილი დეპუტატის - დავით ჭიჭინაძის „კონსერვატიულმა მემარცხენე“ პარტიამ, 2019 წელს დაარსებულმა „ტრიბუნამ“ ხმების მხოლოდ 0,51% დააგროვა. ეკა ბესელიამ, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელიც გარკვეულ ეტაპზე თითქმის ყოველ ღამე გამოდიოდა პოლიტიკურ თოქ-შოუებში, „ქართული ოცნებიდან“ წასვლის შემდეგ დააარსა პარტია „სამართლიანობისთვის“ და 2020 წლის არჩევნებში 0.1% მიიღო.

14 https://results.cec.gov.ge/#/ka-ge/election_43/dashboard

ლევს თვალყური ადევნონ და გააანალიზონ საკუთარი პოპულარობა ძვირადღირებული კვლევების გარეშე. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალმა პარტიებმა ელექტორატის მცირე მხარდაჭერა მოიპოვეს, რადგან 2012 წლის შემდგომ პერიოდში პოლიტიკაში ოფიციალურად შესვლა დააგვიანეს.

რომ შევაჯამოთ, ქართულ კონტექსტში, ახალი პარტიები, როგორც წესი, „ფესვგაუდგმელი“ მეწარმეები იყვნენ, როგორც ახალ დემოკრატიაშია მოსალოდნელი. ქვეყანამ მიიღო არასტაბილურობისა და დაუცველობის მემკვიდრეობა, რაც ლიდერებში იწვევს ოპორტუნისტულ, ოლიგარქიულ ქცევებს და ეფექტურად ახდენს პარტიული განხეთქილების ინსტიტუციონალიზაციას. ამას შედეგად მოაქვს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ახალი პარტიები, რომელთა ბედი - მათი წარმოშობის გამო - ეფემერულობისკენ არის მიდრეკილი.

ამ ნაშრომის შემდეგი ნაწილი უფრო დეტალურად განიხილავს სამი პოლიტიკური მოძრაობის ისტორიას 2012 წლის შემდგომ პერიოდში. განვიხილავთ მათ წარმომავლობას, ასევე მათ განსაკუთრებულ მიდგომებს პარტიის შექმნისა და ადაპტაციის მიმართ. „ლელოს“ შემთხვევაში, ავტორი გვთავაზობს საკუთარ პირად რეფლექსიას ამ პარტიის შექმნის გამოცდილებაზე.

4

სიტუაციური ანალიზი

ახალი პოლიტიკური ცენტრი – „გირჩი“

„გირჩის“ საწყისები შეიძლება ვეძებოთ იმ პოლიტიკოსების ჯგუფში, რომლებმაც 2012 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ დატოვეს „ნაციონალური მოძრაობა“. ზურაბ ჯაფარიძემ, რომელიც 2012 წელს შევიდა პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით, 2015 წლის მაისში დატოვა პარტია სამ სხვა დეპუტატთან ერთად იმ მოტივით, რომ პარტიამ ვერ შეძლო „განახლება“ დამარცხების შემდეგ. ჯგუფი საუბრობდა 2016 წლის არჩევნების წინ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის „ხელახლა ჩამოყალიბების“ აუცილებლობაზე „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ საშუალებით, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოს განვითარების თამამი და ამბიციური გეგმები.[15] პარტია ოფიციალურად დაარსდა 2016 წლის 16 აპრილს გამართულ ყრილობაზე, სადაც თავმჯდომარედ ზურაბ ჯაფარიძე აირჩიეს. ახალი პარტიის იდეოლოგიური პოზიციონირება[16] თავიდანვე აშკარად ლიბერალურ-ლიბერტანიული და პროდასავლური იყო.

2016 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში „გირჩმა“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით დაიწყო ფონდების მოზიდვისა და რეგიონული ოფისების გახსნის პროცესი. მოხდა პარტიის წევრების საზოგადოებისთვის გაცნობა. ერთ-ერთმა მთავარმა წევრმა ინტერვიუს დროს თქვა,[17] რომ ამ ღონისძიებებმა ვერ გაუმჯობესა პარტიის რეიტინგი (2016 წლის ივნისში 3%-ზე ნაკლები) ერთი ფაქტორის გამო: ახალმა პარტიამ გადაწყვიტა მოეპოვებინა საარჩევნო ბლოკის მხარდაჭერა. 2016 წლის 5 აგვისტოს „გირჩი“ საარჩევნო ბლოკში შეუერთდა სხვა ახალ პარტიებს - „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი დეპუტატის გიორგი ვაშაძის „ახალ საქართველოს“ და „ახალ მემარჯვენეებს“. ორი კვირის შემდეგ, ბლოკს შეუერთდა კიდევ ერთი ახალი პარტია - ოპერის მომღერლის, პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“,[18] რომელსაც ოდნავ მაღალი პოლიტიკური რეიტინგი ჰქონდა (დაახლოებით 5%).[19] თუმცა, „გირჩმა“ კენჭისყრის დღემდე ორი კვირით ადრე დაუყოვნებლივ დატოვა ახალი ბლოკი იმ მოტივით, რომ ბურჭულაძის ხელმძღვანელობის ქვეშ.[20] ბლოკში ცუდი მენეჯმენტი და ფინანსური პრობლემები იყო. განხეთქილება მწვავე და საჯარო იყო და იმას ნიშნავდა, რომ „გირჩი“ ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში.

ამ მოვლენების შედეგად „გირჩი“ კრიზისისა და რეფლექსიის პერიოდში შევიდა, რადგან კერძო სექტორის დონორებმა პარტია მიატოვეს. კრიზისმა გამოიწვია ექსპერიმენტული დაშორება ტრადიციული პრაქტიკისგან,[21] რომლის დროსაც პარტიების მშენებლობა ბევრი რესურსის ხარჯზე ხდებოდა. შემცირდა ხარჯები, დაიხურა რეგიონული ოფისები, მოხალისეებმა და სტაჟიორებმა შეცვალეს ანაზღაურებადი პერსონალი, ხოლო შემოწირულობების მოძიება ხდებოდა წევრებისგან და არა კერძო კომპანიებისგან. პარტიამ შექმნა ახალი ონლაინ პლატფორმები წევრებთან კომუნიკაციისთვის და განსაკუთრებით აქტიური იყო ფეისბუქზე. საქართველოში ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, განსაკუთრებით კანაფის რეკრეაციულ გამოყენებასთან დაკავშირებით, თავიდანვე იყო „გირჩის“ პოლიტიკის წამყვანი მიმართულება, მაგრამ ახლა პარტიამ დაიწყო აქტიური ლობირება უფრო ლიბერალური კანონებისთვის. მან 2016 წლის ბოლოს ჩაატარა მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტი, რომლის დროსაც წევრებმა პარტიის თბილისის ოფისში კანაფის თესლები დათესეს, რაც იმ დროს ისჯებოდა 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ინციდენტი გამოიძიეს, მაგრამ პარტიამ მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა გადაიხადა. 2017 წლის განმავლობაში „გირჩი“ აერთიანებდა უფრო მკაფიოდ ლიბერალურ და ლიბერტარიანულ რიტორიკას ერთგვარ ტრიუკებთან, რომლებიც მთავარი ამბების სათავეში ხვდებოდა და გამიზნული იყო იმედგაცრუებული ახალგაზრდა ამომრჩევლის გულის მოსაგებად. 2017 წლის მარტში პარტიამ დაარეგისტრირა საკუთარი რელიგიური ორგანიზაცია და დაიწყო მისი წევრების სასულიერო პირებად კურთხევა, რათა კანონიერი გზა შეეთავაზებინა სამხედრო სავალ-

15 https://old.civil.ge/eng/article.php?id=28300

16 https://www.facebook.com/watch/?v=1172152932836164

17 ინტერვიუ ტორესა მოსისთან (11/10/2020).

18 https://old.civil.ge/eng/article.php?id=29382

19 http://www.civil.ge/files/files/2016/NDI-Poll-PoliticalRatings-June2016.pdf

20 https://civil.ge/archives/125782

21 ინტერვიუ ტორესა მოსისთან (11/10/2020).

დებულო გაწვევის თავის არიდების მსურველებისთვის. პარტიამ მცირე მარცხი განიცადა 2017 წელს, როდესაც მან ვერ შეაგროვა საკმარისი ხელმოწერები ოქტომბერში გამართულ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობისთვის. მაგრამ ზურაბ ჯაფარიძემ კენჭი იყარა 2018 წლის ივნისში საპრეზიდენტო არჩევნებში და ხმების 2,26% მოიპოვა. პარტიამ ასევე წარადგინა კანდიდატი 2019 წლის პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მთაწმინდაზე, სადაც ჰერმან საბომ მეოთხე ადგილი დაიკავა ხმების 4,76%-ით.[22] პარტიამ კვლავ დაიპყრო ახალი ამბების სათაურები, როდესაც დაიწყო სერვისი „შმაქსი“. ის ლეგალურ გზას აძლევდა ტაქსის მძღოლებს, თავიდან აიცილებინათ ახალი რეგულაციები თბილისში: ისინი დარეგისტრირდებოდნენ პედაგოგებად და მგზავრები გადაიხდიდნენ ჩატარებული „ლექციის“ და არა გავლილი მანძილის საფასურს.

ბოლო წლებში პარტიამ ასევე შეცვალა წევრებთან ურთიერთობისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების გზა. 2019 წელს პარტიამ შექმნა ონლაინ პორტალი და ციფრული ვალუტა – ქართული დოლარი ანუ „GeD“ წევრებს შორის გამოსაყენებლად. GeD-ების შეძენა შესაძლებელია პარტიისთვის ფინანსური შემოწირულობით, მაგრამ პარტიის მოხალისეებსაც შეუძლიათ მათი გამომუშავება. ქართული დოლარები შეიძლება განაწილდეს პოლიტიკურ ლიდერებს შორის. რაც უფრო მეტი GeD-ს იღებს ლიდერი, მით უფრო მაღალია მისი პოზიცია პროპორციული არჩევნების პარტიის კანდიდატთა სიაში. 2019 წელს პარტიამ ასევე დააარსა ონლაინ სატელევიზიო არხი, რომელზეც გადიოდა როგორც ძველი გადაცემები, ასევე საკუთარი პოლიტიკური თოქ-შოუები პირდაპირ ეთერში.

ცხრილი 2
გირჩის საარჩევნო შედეგები მისი დაარსების დღიდან

წელი	არჩევნების ტიპი	ხმის წილი (ხმების რაოდენობა)
2016	საპარლამენტო	არ ეხება
2017	ადგილობრივი	არ ეხება
2018	საპრეზიდენტო	2.26% (36 034)
2019	პარლამენტის შუალედური არჩევნები	4.76% (701)
2020	საპარლამენტო	2.89%

მიუხედავად იმისა, რომ პარტია გამოირჩეოდა პარტიული ორგანიზებისა და გადაწყვეტილების მიღების ინოვაციური უნარებით და ატარებდა პოლიტიკურ ტრიუკებს, რომლებიც ახალი ამბების სათავეში ექცეოდა, 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „გირჩმა“ შერეული შედეგები მოიპოვა. პარტიამ ქვეყნის მასშტაბით მიიღო პროპორციული ხმების 2,89% და პირველად მოიპოვა 4 ადგილი პარლამენტში მას შემდეგ, რაც პარტიის დამფუძნებელმა წევრებმა „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს (ამ მოვლენამდე ხუთი წლის ადრე). პარტიამ ასევე გაზარდა ხმების წილი თბილისში და პროპორციული კენჭისყრით მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა, „გირჩი“ სხვა ოპოზიციურ პარტიებს შეუერთდა და უარი თქვა პარლამენტში მანდატების დაკავებაზე. 2020 წლის დეკემბერში, პარტიაში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, როდესაც იაგო ხვიჩიამ, პარტიის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა დოქტრინულმა ლიბერტარიანულმა სახემ, საჯაროდ დაუჭირა მხარი ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეში ეჭვმიტანილ პირს. ამის შემდეგ ზურაბ ჯაფარიძემ პარტია დეკემბრის დასაწყისში დატოვა და თვის ბოლოს მხარდამჭერებთან ერთად „ალტერნატიული“ „გირჩი“ დააარსა, სახელწოდებით „გირჩი - მეტი თავისუფლება“. „ახალი“ „გირჩი“ იგივე ლოგოს იყენებს, როგორსაც თავდაპირველი პარტია, თითქოს იმიტომ, რომ პარტიის ლიბერტარიანული იდეოლოგია უარყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლების კონცეფციას.[23] ორივე „გირჩმა“ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ არჩევნებში 2021 წლის ოქტომბერში. პარტიამ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ქვეყნის მასშტაბით პროპორციული ხმების 1,44% მიიღო, ხოლო „გირჩმა“ (რომელსაც ხელმძღვანელობდა ხვიჩია და სხვ.) დააგროვა 1%-ზე ნაკლები.[24]

„გირჩის“ პარტიული მშენებლობის ტრაექტორია საკმაოდ განსხვავებულია ქართული სისტემის სხვა პარტიებისგან და თუნდაც 2012 წლის შემდგომ გაჩენილი პოლიტიკური მოძრაობებისგან. 2016 წლის კრიზისმა პარტია აიძულა პარტიული მშენებლობისას თავი აერიდებინა ბევრი რესურსის გამოყენებისგან და ჰქონოდა უფრო გამარტივებული მიდგომა, გამოემჟღავნებინა ადაპტაციისა და ინოვაციურობის მაღალი ხარისხი, რაც იშვიათია პატარა, ლიბერალურ ახალ მოძრაობებში. მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ მოღვაწეობა დაიწყო სამოქალაქო საზოგადოებასთან ოფიციალური კავშირების გარეშე, მან მოახერხა თანმიმდევრული წევრობის ჩამოყალიბება ახალგაზრდა, განათლებულ და ლიბერალურ თბილისელებთან. „გირჩის“ პოზიციებმა კანაფის მოხმარებისა და სამხედრო გაწვევის შესახებ სოფლებშიც გააჩინა პარტიის მხარდამჭერები. „გირჩმა“ შექმნა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც იყო სამართავად იაფი, ინტერაქტიული და გამჭვირვალე. წევრებს ჰქონდათ უფლებამოსილება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა კანდიდატის შერჩევა. პარტიას ჰქონდა მრავალი პლატფორმა ღირებულების დასამკვიდრებლად, მაგალითად სატელევიზიო არხი. მაგრამ, ალბათ, რაც ყველაფერზე მნიშვნელოვანია, მას ჰქონდა მკაფიო პოლიტიკური მისია საარჩევნო შეჯიბრებების მიღმა. მაშინაც კი, როცა არჩევნებისთვის არ ემზადებოდა, „გირჩი“ თითქმის ყოველთვის ეწეოდა რაიმე სახის კამპანიას, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული მის ძირითად ლიბერტარიანულ ღირებულებებთან. „გირჩის“ იდეოლოგიური პოზიციები ქართველი

22 https://civil.ge/archives/306867

23 https://civil.ge/archives/389111

24 https://results.cec.gov.ge/#/en-us/election_45/dashboard

ამომრჩევლების უმრავლესობას არასოდეს მოსწონდა - განსაკუთრებით კონსერვატორებსა და ხანდაზმულებს. თუმცა პარტიამ მოახერხა შეექმნა და შეენარჩუნებინა ლოიალური წევრობის ბაზა, რომელიც გარკვეულწილად ვრცელდებოდა დედაქალაქის მიღმაც. მას ჰყავდა მკაფიოდ განსაზღვრული ელექტორატი და აწარმოებდა კამპანიას ამ ამომრჩევლებისთვის აქტუალურ საკითხებზე, წარმატებით აყალიბებდა კავშირს ნარკომანიის ლიბერალიზაციის პოპულარულ მოძრაობასთან. 2012 წლის შემდგომ პერიოდში ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოახერხა ამის გაკეთება ასე ეფექტურად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დონეზე გაჩნდა საყურადღებო მოძრაობები გარემოსდაცვითი საკითხებისა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოების შესახებ. საბოლოოდ, „გირჩმა“ დაიწყო დაღმასვლა, რადგან მისი ლიდერები კომპრომისის ხელოვნებაში უუნაროები აღმოჩნდნენ და ზედმიწევნით იცავდნენ დოქტრინულ შეხედულებებს. ორი „გირჩიდან“ რომელიც შეძლებს დაძლიოს ეს ორგანიზაციული დისფუნქცია და განაგრძოს პარტიის ინოვაციური მშენებლობა, ის დიდი ალბათობით მოიპოვებს პარტიის ბრენდზე უფლებას კონკურენტის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ „გირჩი“ შეიძლება ჩაითვალოს „ეფემერულ“ მოძრაობად ამ კვლევაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, მან მაინც მოახერხა მიეღწია „ძალაუფლების შენარჩუნების“ მოკრძალებული ხარისხისთვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ „გირჩის“ ბედი რადიკალურად შეიცვლოს უახლოეს მომავალში, თუნდაც გადაურჩეს არსებულ განხეთქილებას. მაგრამ თუ პარტია მოახერხებს ამჟამინდელი საარჩევნო მხარდაჭერის კონსოლიდაციას, მომავალ საარჩევნო სცენარით მან შეიძლება არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა, როგორც კოალიციურმა პარტნიორმა.

პაატა ბურჭულაძე – „სახელმწიფო ხალხისთვის“

პაატა ბურჭულაძე არის მსოფლიოში წარმატებული საოპერო ბანი. მისი სასიმღერო კარიერა 1970-იანი წლების ბოლოდან 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე გრძელდებოდა. 2004 წელს მან დააარსა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, რომელიც აწყობდა საქველმოქმედო კონცერტებს და ეხმარებოდა გაჭირვებულ ბავშვებს. ბურჭულაძის სტატუსს კიდევ უფრო აძლიერებდა მისი, როგორც გაეროს კეთილი ნების ელჩის როლი, რომელიც მან მიიღო 2006 წელს. 2010 წლიდან მან იუნისეფისგან იგივე სტატუსი მოიპოვა. მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, 2008 წლიდან[25] ბურჭულაძეს პერიოდულად უსვამდნენ კითხვებს მის პოლიტიკურ ამბიციებზე, თუმცა ის მუდამ უარყოფდა მსგავს გეგმებს. 2015 წლის ნოემბერში ბურჭულაძემ დაარეგისტრირა ახალი ორგანიზაცია - „საქართველოს განვითარების ფონდი“ - რამაც გამოიწვია ვარაუდი, რომ ის შესაძლოა პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებდა. თუმცა თავად ბურჭულაძე კვლავ აცხადებდა, რომ გამორიცხავდა პოლიტიკაში შესვლას.[26] ბურჭულაძის ორგანიზაცია მოხვდა 2016 წლის აპრილის IRI-ს გავლენიან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში, რომელმაც აჩვენა, რომ თუ ის პოლიტიკური პარტია გახდებოდა, სავარაუდოდ ამომრჩეველთა 12%-ის მხარდაჭერას მიიღებდა. ამ რეიტინგმა გამოიწვია პარტიის მშენებლობის მღელვარე პროცესი, ბურჭულაძე უახლოვდებოდა და იღებდა ახალ სახეებს. პარტიის დაარსება - სახელწოდებით „სახელმწიფო ხალხისთვის“ - გამოცხადდა 2016 წლის მაისში, ხოლო 2016 წლის 18 აგვისტოს იგი შევიდა კოალიციაში „ახალ მემარჯვენეებთან“ (კონსერვატიული პარტია, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 2001 წელს და საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე პოლიტიკოსის, მათ შორის „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის - გიორგი კვირიკაშვილის კარიერას), „ახალ საქართველოსთან“ და „გირჩთან“. თუმცა, ეს გადაწყვეტილება „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრებთან საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ საკამათო იყო ზოგიერთი წევრისთვის და მეორე დღეს პარტიის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა ახალმა სახემ - მერაბ მეტრეველმა - გამოთქვა საჯარო უკმაყოფილება ამის გამო. როგორც მეტრეველი იხსენებს,[27] ამ პერიოდში გადაწყვეტილებებს დახურულ კარს მიღმა იღებდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო კამპანიას აწარმოებდა პარტიის სასარგებლოდ, ხშირად მას გადაწყვეტილების მიღების პროცესების გარეთ ტოვებდნენ. პარტიის რეგიონალური ოფისების დიდი ქსელი ასევე აჭარბებდა ორგანიზაციის ფინანსებს.

ამავე პერიოდში, ბურჭულაძეს ჰქონდა ერთგვარი საჯარო ჟარგონის მატჩი ბიძინა ივანიშვილთან. 14 სექტემბერს დაიწყო გამოძიება ბურჭულაძესა და ოპოზიციური არხის - „რუსთავი 2-ის“ ხელმძღვანელს ნიკა გვარამიას[28] შორის უკანონოდ ჩაწერილი სატელეფონო ზარის გავრცელების ფაქტზე, რომლის დროსაც გვარამიამ ბურჭულაძე დაადანაშაულა ბლოკში „ქართული ოცნების“ ელემენტების შეფარებაში. ამ ფაქტიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ „გირჩმა“ საჯაროდ და სკანდალურად დატოვა ბლოკი. სამი პარტიის დაჯგუფებამ ხმების 3,45% მოიპოვა და საპარლამენტო მანდატების მაშინდელი 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. თავად ბურჭულაძემ პარტია და ქართული პოლიტიკა 2016 წლის დეკემბერში დატოვა და ხელმძღვანელობა 24 წლის აქტივისტს, ნიკა მაჭუტაძეს გადაეცა. პარტია აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ოპოზიციური ალიანსის ნაწილი, მაგრამ მისი ინდივიდუალური საზოგადოებრივი რეიტინგი 1%-ზე ნაკლებია.

ბურჭულაძე არის „ფესვგაუდგმელი“, „მეწარმე“, ახალი პოლიტიკური სახის კლასიკური მაგალითი. ის ქართულ პოლიტიკაში მოვიდა მკაფიო საკანონმდებლო თუ ეკონომიკური პლატფორმის გარეშე და ღიად არც კი მიუძღვნა თავი არჩევნებამდე 6 თვით ადრე დაწყებულ პოლიტიკურ კარიერას. მან ამჯობინა, „ცხოვრებას“ დამტკიცებინა, იყო თუ არა პოლიტიკა მისთვის სწორი გზა.[29] როგორც აღმოჩნდა, ფონდის შექმნის სტრატეგია მხარდაჭერის კონსოლიდაციისა და წევრობის გასაძლიერებლად უკავშირდებოდა დიდი სახსრების გაფლანგვას აშკარა სარგებლის გარეშე. გადაწყვეტილების მიღების

25 https://old.civil.ge/eng/article.php?id=17497

26 https://old.civil.ge/eng/article.php?id=28791

27 http://www.tabula.ge/ge/verbatim/110931-metreveli-ukmakofilo-vargaertianebit-ar-aris-gamoricxuli-davtovo-partia

28 https://agenda.ge/en/news/2016/2169

29 https://old.civil.ge/eng/article.php?id=28791

პროცესებიდან გამოირიცხნენ არა მხოლოდ რიგითი წევრები, არამედ ცნობადი სახეებიც. სასიცოცხლო ციკლის ასე ადრეულ ეტაპზე საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბება მიუთითებს იმაზე, რომ პარტიას არ ჰქონდა საკუთარი მკაფიო იდენტობა და მის კანდიდატთა პროპორციულ სიაში შედიოდა ზოგიერთი პირი, რომლებიც არც კი იყვნენ მისი წევრები.[30] პარტიას თავიდანვე აკლდა თანმიმდევრული პლატფორმა, იდეოლოგია და გზავნილი და აირჩია გამოუცდელი ჟურნალისტების, პოლიტიკური კომენტატორებისა და სხვა ელიტარული ფიგურების თანამონაწილეობა იმ მმართველი პარტიის მსგავსად, რომელსაც თავად ეწინააღმდეგებოდა. როდესაც მდგრადი პარტიული ორგანიზაციის აშენებისა და მოკლევადიანი, პირადი ამბიციების განხორციელების წინააღმდეგობრივი აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, ბურჭულაძემ ვერ შეძლო დაბალანსება ან კომპრომისზე წასვლა. დღეს „სახელმწიფო ხალხისთვის“ ფუნქციურად მკვდარია და მისმა ახალგაზრდა თავმჯდომარემ ვერ აჩვენა, რომ შეუძლია ამ მდგომარეობის შეცვლა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია უკვე მომხდარის გააზრება, მაგრამ „სახელმწიფო ხალხისთვის“ თავიდანვე წარუმატებლობის გზას დაადგა. მისი ისტორია გვთავაზობს გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ყველა პოტენციურმა ახალმა სახემ ქართულ პოლიტიკურ სისტემაში.

„ლელო – საქართველოსთვის“

„ლელო საქართველოსთვის“ არის მამუკა ხაზარაძისა და მისი გრძელვადიანი ბიზნესპარტნიორის, ბადრი ჯაფარიძის შემოქმედება. 1990-იანი წლების ქაოსისა და კოლაფსის დროს წყვილმა დააარსა ახალი ბანკი - „თიბისი“ (TBC), რომელიც 2010-იანი წლების შუა პერიოდისთვის გახდა საქართველოს სიდიდით მეორე კომერციული ბანკი და შედიოდა ლონდონის საფონდო ბირჟის ჩამონათვალში. 2016 წელს, საქართველოს მთავრობამ ხაზარაძის ანაკლიის განვითარების კონსორციუმს გადასცა 2,5 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი, რათა მას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ანაკლიაში აეშენებინა ღრმა საზღვაო პორტი - ინფრასტრუქტურა, რომელიც შეცვლიდა თამაშის წესებს და გახდებოდა მთავარი კვანძი აღმოსავლეთ-დასავლეთის სატვირთო მარშრუტებში. კონსორციუმი თავდაპირველად სარგებლობდა მთავრობის მხარდაჭერით, მაგრამ უთანხმოებამ იმის თაობაზე, თუ ვინ აიღებდა პასუხისმგებლობას პროექტით გამოწვეულ დიდი ოდენობით დავალიანებაზე, საბოლოოდ ჩაშალა გარიგება და კონტრაქტი გაუქმდა.

I2019 წლის ივლისში ხაზარაძემ გამოაცხადა, რომ გეგმავდა პოლიტიკური მოძრაობის შექმნას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ხუთი დღის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მას და ჯაფარიძეს 2011 წელს დადებულ გარიგებასთან[31] დაკავშირებით თაღლითობაში დასდო ბრალი. ხაზარაძემ დაგმო ეს ნაბიჯი, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული, დატოვა „თიბისი“ ბანკი და წამოიწყო სოციალური მოძრაობა სახელწოდებით „ლელო“. ეს სიტყვა რაგბიში „ბურთის დამიწებას“ გულისხმობს და ასე ჰქვია ამ თამაშის ქართულ ვერსიასაც. სოციალური მოძრაობა ძირითადად შედგებოდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმისა და „თიბისი“ ბანკის ყოფილი თანამშრომლებისგან და მის დაარსებას მოჰყვა ინტენსიური არჩევითი რეკრუტირების პერიოდი. ახალმა მოძრაობამ მიიზიდა ცნობილი პირები - პოლიტიკისთვის ახალი სახეები, კერძოდ, გამოჩენილი იურისტები, ანა ნაცვლიშვილი და კახა კოჟორიძე. ოფიციალურად დაარსების წინ პარტიამ ასევე განაცხადა, რომ „ლელო“ გააერთიანებდა როგორც „ახალ მემარჯვენეებს“, ასევე „განვითარების მოძრაობას“, რომელსაც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა. პარტია 2019 წლის დეკემბერში შეიქმნა და ზოგიერთი გამოკითხვით მას 10%-მდე მხარდაჭერა ჰქონდა. თუმცა, შიდა დაძაბულობა საჯარო გახდა 2020 წლის ივნისში, როდესაც აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ლაშა ბაქრაძემ პარტია პროტესტის ნიშნად დატოვა ხაზარაძის მიერ ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარების გამო. 2020 წლის ივლისში, „ლელოს“ თელავის ოფისის ხუთმა წევრმა, მათ შორის ადგილობრივმა თავმჯდომარემ, პარტია დატოვა,[32] რადგან, მათი მტკიცებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საკადრო დაკომპლექტების შესახებ კონსულტაციის გარეშე მიიღებოდა. 2020 წელს, როგორც ყველა პარტიის, ასევე „ლელოს“ წინასაარჩევნო აქტივობებსაც აფერხებდა გლობალური კოვიდ-19-ის პანდემია. თუმცა შეზღუდვების შემოღებამდეც კი, „ლელო“ იბრძოდა ახალი ამბების ციკლში და საზოგადოების ნდობაში შესვლაზე. მან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 3,15% მოიპოვა და ოთხი ადგილი მოიპოვა. იგი შეუერთდა სხვა ოპოზიციურ პარტიებს პარლამენტის ბოიკოტირებაში, სანამ საბოლოოდ დაიკავებდა თავის მანდატებს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული „მიშელის შეთანხმების“ საფუძველზე 2021 წლის აპრილში. 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების დროს „ლელომ“ ქვეყნის მასშტაბით მიიღო პროპორციული ხმების 2,71%, ანუ უფრო ნაკლები მხარდაჭერა, ვიდრე ერთი წლით ადრე.

შიგნიდან დანახული პარტიის მშენებლობა - ავტორის პირადი ისტორია „ლელოში“

წინამდებარე ნაშრომის ავტორი აღმოჩნდა უჩვეულო მდგომარეობაში, რადგან იყო ერთ-ერთი აქ გაანალიზებული პარტიის წევრი. ამიტომ უგუნურება იქნებოდა ამ ნაშრომში არ შეგვეტანა პირადი გამოცდილება, რისთვისაც მკითხველმა უნდა გვაპატიოს თხრობის პირველ პირში გაგრძელება.

„ლელოს“ 2019 წლის ნოემბერში შევუერთდი ორ მემარცხენე ცენტრისტულ საზოგადო მოღვაწესთან - ირაკლი კუპრაძესთან და გრიგოლ გეგელიასთან ერთად, რომ-

30 მათ შორისაა დავით ჯანდიერი, რომელსაც ამ ნაშრომის მიზნებისთვის გავესაუბრეთ. ის აქტიურად იყო ჩართული როგორც ფონდის, ისე პარტიის მუშაობაში.

31 https://eurasianet.org/in-georgian-politics-its-millionaire-vs-billionaire

32 https://1tv.ge/news/lelo-saqartvelostvis-kakhetis-organizacia-partiis-khutma-wevrma-mat-shoris-tavmjdomarem-datova/

ლებსაც ჰქონდათ საარჩევნო ან კამპანიის ჩატარების გამოცდილება. მანამდე, 2017 წლის ოქტომბერში, კენჭი ვიყარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელ კანდიდატად და ვაწარმოებდი სახალხო კამპანიას თბილისის ცენტრალურ რაიონში, საბურთალოში. ჩემი წინასაარჩევნო კამპანია ემყარებოდა ჩემს პროფილს: წარმოვადგენდი ურბანული ქაოსისა და ქართული პოლიტიკის სამყაროში არსებული ანომალიის წინააღმდეგ მებრძოლს, ბრიტანული წარმოშობის, ქართულის (შედარებით) სრულყოფილად მცოდნე ნატურალიზებულ მოქალაქეს. კამპანიის დროს უარი ვთქვი ორი პარტიდან, მათ შორის „ქართული ოცნებიდან" მიღებულ „თანამშრომლობის" შემოთავაზებაზე და ვარჩიე მხარი დამეჭირა ალეკო ელისაშვილის მერობის კანდიდატურისთვის. ელისაშვილი 2014 წელს აირჩიეს იმ ადგილზე, რომლისთვისაც მე ვიბრძოდი. საბურთალოზე მოვახერხე ხმების 14%-ის მოპოვება, რითიც მესამე ადგილზე გავედი და გავუსწარი ბევრ ჩამოყალიბებულ მეტოქეს. მარცხის შუაგულში მოვახერხე ეფექტური პიარ-გოლის გატანა: საჯაროდ ჩამოვხსენი საკუთარი საარჩევნო პლაკატები ქალაქის ქუჩებში. კეთილსინდისიერი ევროპელი კანდიდატის ისტორია, რომელიც განსხვავდება მმართველი პარტიის (და ზოგადად, ქართული) თვითკმაყოფილებისგან, ვირუსულად გავრცელდა. შედეგად, 2017 წლის ბოლოს არაოფიციალური სტილის ქართული სატელევიზიო თოქ-შოუების ინტენსიური მონაწილე გავხდი. ეს შესაძლებლობა ენთუზიაზმით და მღელვარებით მივიღე.

2018 წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩემი ახლად ამაღლებული საჯარო პროფილი გადამექცია ეფექტურ სახალხო მოძრაობად, რომლის მიზანიც უკეთესი ურბანული პოლიტიკა იქნებოდა. ამან 2018 წელს მიმიყვანა წარუმატებელ კამპანიამდე საბურთალოზე ახალი სატრანსპორტო საჰაერო გზის წინააღმდეგ, ასევე ხალხმრავალ, თუმცა საბოლოოდ უშედეგო აქციამდე საგზაო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც გაიმართა 2019 წლის დასაწყისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ველოსიპედისტის გარდაცვალების გამო. ასევე 2019 წელს ჩავერთე კამპანიაში გრიგოლ გეგელიას ასარჩევად პარლამენტში, იმავე წლის მაისის შუალედური, დაძაბული არჩევნების საშუალებით. გეგელია იყო მემარცხენე ძალის წარმომადგენელი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე დაასრულა სწავლა საზღვარგარეთ. იმის გამო, რასაც მე აღვიქვამდი, როგორც ძირითადი ორგანიზაციული შესაძლებლობების ნაკლებობას კამპანიის მონაწილეთა ჯგუფში, შევწყვიტე კამპანიის აქტიური მხარდაჭერა ჩემი გადაწყვეტილების გასაჯაროვების გარეშე. გეგელიამ არჩევნებში მეხუთე ადგილი დაიკავა ხმების 3,14%-ით.

I2019 წლის ოქტომბერში მე, გეგელიამ და კუპრაძემ დავიწყეთ „ლელოში" მოძრაობის ახალი სახეებად გაწევრიანების შესაძლებლობის განხილვა. ყველა ჩვენგანს ჰქონდა გარკვეული საჯარო ცნობადობა (კუპრაძე იყო სტუდენტებისა და მუშების უფლებების დამცველი), მაგრამ იმედგაცრუებულები ვიყავით შეზღუდული რესურსებით კამპანიის ჩატარების გამო. მამუკა ხაზარაძესთან, ბადრი ჯაფარიძესთან და პარტიის სხვა წევრებთან შეხვედრამ ნათლად აჩვენა, რომ ხელმძღვანელობა „ლელოს" თვლიდა ცენტრისტულ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეეძლო ეხელმძღვანელა როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე იდეებით. მივიღეთ გარანტია, რომ შეგვეძლო პარტიის პოლიტიკის ჩამოყალიბება საარსებო მინიმუმზე და ქვეყნაში შრომის ინსპექციის[33] გაზრდილი უფლებამოსილების თაობაზე. ამრიგად, მე შევუერთდი „ლელოს" 2019 წლის 15 ნოემბერს და მაშინვე შევუდექი მუშაობას პარტიის ბრენდის პოპულარიზაციისთვის და წევრობის გასაზრდელად.

თითქმის მაშინვე, შიდა კომუნიკაცია, ორგანიზაცია და სტრატეგია პრობლემას წარმოადგენდა. მიწევდა მნიშვნელოვანი შეხვედრების გამოტოვება, რადგან მათ შესახებ არ მეუბნებოდნენ და ბევრი დრო იხარჯებოდა იმ იდეებზე საუბარზე, რომლებიც არასოდეს რეალიზდებოდა. 2019 წლის ნოემბერსა და დეკემბერში პარტია იყო გატაცებული ფორმალობებით, თუ როგორ უნდა მიეღო მონაწილეობა ანტისამთავრობო საპროტესტო აქციებში, რომლებიც გამოწვეული იყო „ქართული ოცნების" მარცხით შეეტანა საარჩევნო კანონში ცვლილებები. დისკუსიები იმის შესახებ, უნდა ეთანამშრომლა თუ არა „ლელოს" ამა თუ იმ ოპოზიციურ მოღვაწესთან ან პარტიასთან, არ იყო კონცენტრირებული. ბევრი ჩემი კოლეგისთვის ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მკაფიო პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბების გადაუდებელი აუცილებლობა. „ლელოს" გარე კომუნიკაციაზე და წარმატების სტრატეგიაზე მუშაობა ჩატარდა „სახეების" მზარდი ჯგუფის მონაწილეობის გარეშე (რომელთაგან ერთ-ერთიც მე ვიყავი) ბრიტანელი კონსულტანტების ჯგუფის მიერ, რომელიც მუშაობდა შედარებით იზოლირებულად, დახურულ კარს მიღმა. თბილისის სამ ლოკაციაზე შექმნილ პარტიულ ოფისებში მუშაობდნენ „თიბისი" ბანკის, ანაკლიის კონსორციუმის და ხაზარაძესთან და ჯაფარიძესთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ბიზნესების ყოფილი თანამშრომლები. ნაცვლიშვილი და კოჟორიძე, როგორც ჩანს, კონტრაქტებით იყვნენ დასაქმებულები ახალი სოციალური მოძრაობისთვის იურიდიული მომსახურების გასაწევად, თუმცა ისინი ძირითადად მოქმედებდნენ როგორც ახალი პარტიული ბრენდის სპიკერები. გაიცა გარანტიები, რომ პარტიის სხვა „სახეებისთვისაც" განისაზღვრებოდა სამუშაოს აღწერილობა (პოლიტიკის შემუშავებაში პასუხისმგებლობის ჩათვლით) და ხელფასები, თუმცა ეს დალაგდებოდა პარტიის დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ 2019 წლის დეკემბერში. დამფუძნებელი ყრილობა იყო ამაღელვებელი ღონისძიება, რომელიც მაღალი სტანდარტით ჩატარდა და მოიზიდა 2000 დელეგატი მთელი ქვეყნიდან. მქონდა პატივი ვყოფილიყავი ღონისძიების ერთ-ერთი მომხსენებელი (ეს პრივილეგია, ეჭვგარეშეა, ჩემი წარმომავლობის გამო მომენიჭა) და ამირჩიეს პარტიის შიდა ზედამხედველობის ორგანოში წევრობის საკითხებისა და პარტიის ფინანსების მოსაგვარებლად. 2019 წლის ბოლოს პარტია გადავიდა ახალ ოფისებში თბილისის ცენტრალურ რკინიგზის სადგურთან მდებარე სავაჭრო ცენტრში.

33 These assurances were duly honored and Lelo continued to formally support these policies throughout my time there.

შობა-ახალ წელს დიდ ბრიტანეთში ორი კვირის გატარების შემდეგ, 2020 წლის იანვარში დავბრუნდი თბილისის ოფისში და აღმოვაჩინე, რომ ბიომეტრიული უსაფრთხოების ახალი საკეტები იყო დაყენებული ჩემი სამუშაო სივრცის კარებზე. აღარ მქონდა წვდომა საოფისე სივრცეზე, სადაც მუშაობდნენ შესყიდვების ან წევრობის გუნდები. მითხრეს, რომ ამის მიზანი წევრობის მონაცემების დაცვა იყო, რომელიც ნაწილობრივ არ იყო ციფრული. თუმცა ეს იმასაც ნიშნავდა, რომ არ შემეძლო წევრებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა ან ღონისძიების მცირე დაფინანსების შესაძლებლობის განხილვა იმეილის დაწერის გარეშე, რომელიც ხშირად უპასუხოდ რჩებოდა. პარტიის აღმასრულებლ პირებთან წვდომა სულ უფრო რთულდებოდა, რადგან მათ დაიკავეს ზედა სართულის ოთახები, ის იყო უფრო მეტად საჯარო ოფისები და არ იყო განსაზღვრული სამუშაო საათები. ამ ყველაფერმა გაამძაფრა ჩემი შფოთვა, რადგან მე ვიქნებოდი მხოლოდ პარტიის საშუალო დონის საჯარო სახე და არ მექნებოდა გავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე. ხელფასის გადახდის შესახებ შეთანხმება კვლავ ჭიანურდებოდა. იმ ეტაპზე შიდა კომუნიკაციის ერთადერთი სისტემა იყო “WhatsApp-ის” ჯგუფი, რომელიც შედგებოდა აღმასრულებელი პოლიტიკური საბჭოს წევრებისგან, აუდიტის კომიტეტისგან, ახალი რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და პარტიის სხვა საჯარო სახეებისგან. კომუნიკაციის ეს ფორმა უკიდურესად იმედგამაცრუებელი აღმოჩნდა და ბევრი წევრი ჩიოდა, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვლენების, შეხვედრებისა და პოლიტიკური მესიჯების შესახებ იკარგებოდა უსარგებლო „ჩატში“ და გვიანი ღამის კორესპონდენციაში. ჩვენი პარტიის ახალი ელფოსტის მისამართების გამოყენება მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

თებერვლის, მარტისა და აპრილის განმავლობაში გადავწყვიტე ყურადღება გადამეტანა პარტიის ადგილობრივ დონეზე ორგანიზებაზე, რაც, ვფიქრობ, ჩემი ძლიერი მხარე იყო. ამ პერიოდში „ლელოში“ ხდებოდა ახალგაზრდების შემოდინება, რომლებიც შთაგონებულნი იყვნენ ცვლილებებზე ორიენტირებულ ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეების მიწვევით. გადავწყვიტე შემექმნა გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებული მოხალისეების ჯგუფი და ყურადღება გავამახვილე პრაქტიკულ პროექტებზე – როგორიცაა ნაგვის შეგროვება და გარემოსდაცვითი კამპანიები – რათა წევრებისთვის მიმეცა მათი მოხალისეობრივი საქმიანობის ჩარჩო. სხვა „სახეებმაც“ შექმნეს მსგავსი ჯგუფები საგარეო საქმეთა, უსაფრთხოებისა და კულტურული საკითხების შესახებ. თუმცა ეს ჯგუფები დაარსებისთანავე გაუქმდნენ, როდესაც გაირკვა, რომ რიგითი წევრები არ ჩაერთვებოდნენ პოლიტიკის პოზიციების ჩამოყალიბებაში ან კამპანიების წარმოებაში და, შესაბამისად, მათ არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი. ამ პერიოდის განმავლობაში „ლელომ“ დაკარგა ბევრი ახალგაზრდა მოხალისე, რომლებიც იმედგაცრუებულნი წავიდნენ, რადგან არ ჰქონდათ თავიანთი ინტერესების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა. პარტიის ლიდერები აწყობდნენ დიდ საჯარო ღონისძიებებს ოფისის შიდა, ამფითეატრის მსგავს სივრცეში, მაგრამ ამ შეხვედრების აზრი, „ლელოს“ პოლიტიკური მისწრაფებებისა და მისი ძირითადი გუნდის კომპეტენციის შესახებ ბანალური აზრების გამოხატვის მიღმა, ხშირად გაურკვეველი იყო. საერთო ჯამში, ახალი წევრებისდამი მოპყრობა წარმოადგენდა გულთბილი მიღებისა და უნდობლობის უცნაურ ნაზავს: ისინი იღებდნენ წახალისებას, რომ დარეგისტრირებულიყვნენ წევრთა რიცხვის გაზრდის მიზნით, მაგრამ მათი ინტერესი პარტიის საქმიანობაში რეალურად ყოფილიყვნენ ჩართულები, აუცილებლობად არ აღიქმებოდა. არაერთხელ გამიგია კომენტარი, რომ ახალგაზრდებს „კამპანიის დროს ანაზღაურებადი სამუშაოები უნდათ“ და მხოლოდ იმიტომ ეწერებოდნენ პარტიის რიგებში.

საბოლოოდ, მაისში პოლიტსაბჭოსა და აუდიტის კომიტეტის წევრებმა მიიღეს ხელფასები, მაგრამ მეორე ანაზღაურება, რომელიც მე მივიღე, დაექვემდებარა 40%-ით შემცირებას კოვიდ-19-ის პანდემიის შეზღუდვების გამო. „ლელოში“ 5 თვის განმავლობაში სრულ განაკვეთზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობის შემდეგ, ეს დაქვითვა დიდი შეურაცხყოფა იყო მათთვის, ვინც ბევრს ვმუშაობდით, რომ პარტიისთვის მიგვეწოდებინა მოსახლეობის ეფექტური ბაზა. პარტიის დაფინანსების წყაროები არასოდეს ყოფილა ჩემთვის ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ მოვითხოვდი ფინანსურ ანაზღაურებას, როგორც პარტიის შიდა ზედამხედველობის კომიტეტის წევრი. მაგრამ ჩემი აზრით, პარტიის აღმასრულებელმა ხელმძღვანელობამ, რომელშიც ასევე შედიოდნენ მისი მთავარი დონორები, არასწორად გამოთვალა ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების ოდენობა და ამგვარად ცდილობდა შეცდომის აღმოფხვრას.

გაიხსნა ახალი რეგიონალური ოფისი საბურთალოზე - ტერიტორიაზე, სადაც მე მქონდა კამპანია 2017 წელს, მაგრამ ის მაშინვე არ გამხდარა ეფექტური, რადგან კოვიდ-19-ის შეზღუდვები ართულებდა პოტენციურ ახალ წევრებზე წვდომას. 2020 წლის ივნისისთვის „ლელოს“ მიმართ დიდი იმედგაცრუების გრძნობამ და იმის გაცნობიერებამ, რომ პარტიის კანდიდატად კენჭისყრა სრული უაზრობა იქნებოდა, პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა. არ გამიკეთებია საჯარო განცხადება ჩემი წასვლის შესახებ, განგებ გავდექი ჩრდილში, რადგან ვგრძნობდი, რომ ქართული მედიის გაშუქების უაზრო და ზედაპირული სტილი არ შეესაბამებოდა ჩემი პოლიტიკის პირად ბრენდს. სამი თვის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სამუდამოდ დავტოვე საქართველო.

„ლელო საქართველოსთვის“ ფუნდამენტურად არის სამეწარმეო-ოპორტუნისტული მოძრაობა, რომელსაც არ აქვს კავშირი ორგანიზებულ სოციალურ ინტერესებთან. მისი პარტიული ჩამოყალიბების სტრატეგიები საოცრად წააგავდა სხვა ლიბერალური ახალი მოძრაობების მიდგომებს. ისევე, როგორც პარტიამ „სახელმწიფო ხალხისთვის“, მანაც არჩია სოციალურ მოძრაობაში ინვესტირება თავისი პარტიის ჩამოყალიბებამდე, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა აშკარა პოლიტიკური დივიდენდი პარტიის ფორმირების შეფერხებისთვის და მდგომარეობის მოსასინჯად. ურიცხვი ლიბერალური ახალი მოძრაობის მსგავსად, პარტიამ - „ლელო საქართველოსთვის“ აირჩია პოლიტიკური სპექტრის უმნიშვნელო პოლიტიკოსების თანამონაწილეობა, იმის ნაცვლად, რომ შეექმნა წევრობის ძლიერი

სტრუქტურა, რომელშიც ახალი ლიდერები გაჩნდებოდნენ. არსებული საჯარო პროფილის მქონე ფიგურების შთანთქმის პროცესი, როგორც ჩანს, დასრულდა 2021 წელს და ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის, კანდიდატთა სია ძირითადად შედგებოდა „გადამუშავებული" მაჟორიტარი კანდიდატებისგან და პარტიის შიგნით მყოფი უცნობი პირებისგან. პარტიამ შიდა დემოკრატიის ექსპერიმენტი ჩაატარა: წევრებმა აირჩიეს ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. თუმცა ეს ექსპერიმენტი, როგორც ჩანს, არ გავრცელდა საარჩევნო კანდიდატების შერჩევაზე.[34] ასევე გაურკვეველია, რამდენად მონაწილეობენ წევრები პარტიის პოლიტიკის პლატფორმის ფორმირებაში. მეორეს მხრივ, „ლელოს" არ შეუქმნია სრულიად „ღია" პლატფორმა, მაგალითად, საარჩევნო ალიანსების ჩამოყალიბებით ან დამოუკიდებელი პირების კანდიდატებად მოწვევით. ასევე აშკარაა, რომ „ლელოსთვის" პარტიული კუთვნილება რაღაცას ნიშნავს, მაშინაც კი, როცა ყოველთვის არ არის გასაგები თუ რას ნიშნავს ეს.

„ლელო" თავიდანვე ებრძოდა ბრალდებას, რომ ის არსებობს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ დევნისა და პატიმრობისგან ხაზარაძისა და ჯაფარიძის დასაცავად. თუმცა, როგორც ახალბედა პარტია, ის თავის თავში მოიცავს ბევრ ძველ და ახალ პოლიტიკოსს, მათი ამბიციებითა და მოლოდინებით. პარტიაში ძალაუფლების განაწილება ასევე გადახრილია გადაწყვეტილების მიმღებთა მცირე ჯგუფისკენ, რომელიც, სავარაუდოდ, პარტიის დაფინანსების ძირითადი წყაროა. ეს ყველაფერი პარტიას არსებითად არასტაბილურს ხდის და ის ხაზარაძესა და ჯაფარიძეს შორის დავის შემთხვევაში, სავარაუდოდ, არსებობასაც შეწყვეტს. არჩევნების მიღმა, პარტიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დღის წესრიგი, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ინდივიდუალური ინტერესების თემებისაგან (როგორიცაა ანაკლიის პორტის პროექტი). მიუხედავად 2020 წლის წინასაარჩევნო რეიტინგისა, რომელიც 10%-მდე აღწევდა, პარტიამ არჩევნებზე 3,15% მოიპოვა. როგორც ასეთი, „ლელო საქართველოსთვის", საკმაოდ კომფორტულად მოექცა ქართულ პარტიულ სისტემის ეფემერულობაში. ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში მძიმე შიდა დისფუნქციების გათვალისწინებით, მას სავარაუდოდ გაუჭირდება მხარდაჭერის ამჟამინდელი დონის შენარჩუნებაც კი.

34 ინტერვიუ აღმასრულებელი საბჭოს წევრთან, მედეა მეტრეველთან (13/10/2020).

5

დასკვნები

პირველი კითხვა, რომელსაც წინამდებარე ნაშრომმა უნდა გასცეს პასუხი, არის ის, თუ რატომ არის ამდენი ახალბედა ქართულ პოლიტიკაში. როგორც ვნახეთ, საქართველომ დამოუკიდებლობის მომენტიდან განიცადა ეკონომიკური და ინსტიტუციური არასტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდები: სეპარატისტული კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ომი რუსეთთან, რევოლუცია და მასობრივი მობილიზაცია. პროფკავშირები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ფორმები სუსტი რჩება, ხოლო პოლიტიკურ ლიდერებთან კავშირი მინიმალურია. გარდა ამისა, ინსტიტუციური არასტაბილურობის ამ კონტექსტმა შექმნა უკიდურესად მყიფე მმართველი პარტიები ხელმძღვანელობის ოლიგარქიული სტრუქტურებით, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება, განდგომა და, საბოლოო ჯამში, მეტი ახალი პარტია. ეს კონტექსტი ნიშნავს, რომ ახალი პარტიების გამძლეობისა და წარმატების მიღწევის შანსები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სტრუქტურული პირობები ასტიმულირებს ინდივიდუალისტურ, მოკლევადიან ქცევებს და ამცირებს ინვესტიციებს სოციალურ ორგანიზებასა და ძალაუფლების გაზიარებაში. ლიდერებს უჭირთ, გააკეთონ ერთი რამ, რაც აუცილებელია ახალი პარტიის გადასარჩენად: ძალაუფლების საკუთარი ვიწრო, მოკლევადიანი პირადი ამბიციების ნაცვლად პრიორიტეტი მიანიჭონ ორგანიზების, რუტინიზაციისა და ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობას.

ამ დინამიკის მოქმედება შეგვიძლია ნათლად დავინახოთ პარტიაში - „ სახელმწიფო ხალხისთვის“, რომელიც ალბათ ყველაზე ეფემერულია აქ განხილულ მოძრაობათაგან. ამ პარტიის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ლიდერის მაღალი საჯარო პროფილი, ან კამპანიის სახსრებზე წვდომა, არ არის „ფესვის გადგმის“ გარანტია და ვერც ძლიერ, უფლებამოსილების მქონე წევრობას ჩაანაცვლებს. ის ასევე აჩვენებს, რომ, ახალ პარტიებს შორის პოპულარობის მიუხედავად, კოალიციის შერჩევით მშენებლობასა და პროგრამულ ბუნდოვანებას იშვიათად მოაქვს ახალბედებისთვის სასურველი საარჩევნო შედეგები. პარტიის - „სახელმწიფო ხალხისთვის“ მაგალითი ასევე გვახსენებს, რომ დროებითი, წინაპარტიული სტრუქტურები, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური მოძრაობები ან ფონდები, შეიძლება უამრავ რესურსს მოითხოვდეს და არ არის გამართლებული მათზე ყურადღების გადატანა დაგეგმვისა და მდგრადი პარტიული სტრუქტურების მშენებლობის რეალური სამუშაოს ჩატარების ნაცვლად.

„გირჩის“ შემთხვევის ანალიზისას, ჩვენ ვნახეთ, რომ ერთმა პარტიამ დაარღვია დამკვიდრებული პრაქტიკა და შექმნა წევრობის სტრუქტურა, რომელიც არის მოქნილი, გამჭვირვალე და გაძლიერებული. მან მოახერხა ამომრჩეველთა საკუთარი, საკმაოდ მცირე ნაწილის იდენტიფიცირება და მასთან ურთიერთქმედება, ასევე თავისი წევრების ერთგულების, გამოცდილებისა და სხვა რესურსების გამოყენება. პარტიამ შეძლო ენერგიული და ძლიერი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც აქვს მკაფიო მიზნები და პლატფორმები მონაწილეობისთვის (საარჩევნო ციკლის გარეთაც კი) და დააკავშირა იგი საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებთან. „გირჩი“ ამ ეტაპზე მივიდა ღრმა კრიზისის შემდეგ, რომლის დროსაც მისი პოლიტიკური ალიანსების რღვევამ და შემოსავლების დაკარგვამ აიძულა იგი მიეღო კრეატიული გადაწყვეტილებები, რათა გაეგრძელებინა პოლიტიკური მიზნების განხორციელება. „გირჩის“ მაგალითი აჩენს კითხვებს ჩვენ მიერ შესწავლილი თეორიული მოდელების შესახებ, კერძოდ: რა როლს თამაშობს კრიზისი ახალი პარტიების ჩამოყალიბებაში? შეიძლება თუ არა ღრმა, შიდა კრიზისი დაეხმაროს პარტიას შეცვალოს პარტიული მშენებლობის ტრაექტორია, დააშოროს ოლიგარქიულ მართვის მოდელს და ძალაუფლების ასიმეტრიულ განაწილებას და დაახლოს თავისი წევრებთან?

პარტიის - „ლელო საქართველოსთვის“ მაგალითი გვიჩვენებს, რომ 2021 წელსაც კი ქართული პარტიული სისტემისთვის კვლავ აქტუალურია სოციალურად „ფესვგაუდგმელი“, პროგრამულად გაურკვეველი, სტრუქტურულად ოლიგარქიული პარტიების კლასიკური პოსტსაბჭოთა მოდელი. გარკვეულწილად, გასაოცარია, რომ „ლელოს“ მსგავს პარტიას შეუძლია ასე თავდაჯერებულად დაუშვას ბევრი ისეთივე შეცდომა (თუმცა გაცილებით ნაკლებად დრამატული მასშტაბით), როგორიც დაუშვეს მანამდე მსგავსმა ორგანიზაციებმა, მაგალითად მოძრაობამ „სახელმწიფო ხალხისთვის“. „ლელოს“ მაგალითი ხაზს უსვამს საქართველოში პარტიების ჩამოყალიბების შესახებ თავში წარმოდგენილ არგუმენტებს, რომ საქართველოში 2012 წლის შემდეგ უცვლელი დარჩა სტრუქტურული პირობები: პოლარიზებული საინფორმაციო გარემო, სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკური და ინსტიტუციური არასტაბილურობა და დაუცველობა რუსეთის მხრიდან არსებული საფრთხის გამო. ამ ყველაფერს გავლენა აქვს ქართულ პარტიულ სისტემაზე და ახალი პარტიების ბედს ეფემერულობისკენ უბიძგებს.

2021 წლის ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნები, რომელიც ოპოზიციის აზრით იყო „რეფერენდუმი“ „ქართული ოცნების“ მმართველობის შესახებ, დამატებით მასალას იძლევა 2012 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს პარტიული სისტემის შესასწავლად. გაჩნდა ახალი ლიბერალური პრეტენდენტი გიორგი გახარიას სახით, რომლის პარტიამ „საქართველოსთვის“ ხმების 7,8% მიიღო. გახარია პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა 2019 წლის სექტემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე, როდესაც მოულოდნელად გადადგა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ნიკა მელიას დაკავების გადაწყვეტილების გამო. როგორც ჩანს, გახარიას ახალი პარტიის საწყისებმა, ჩვენი მოდელის მიხედვით, უკვე აირიდა ეფემერულობისკენ მოძრაობა რამდენიმე საარჩევნო ციკლში. მეორე მხრივ, „ქართულმა ოცნებამ“ ჯერჯერობით ვერ შეძლო გადაეტანა ასეთი გახმაურებული განდგომა თავისი რიგებიდან. „ქართული ოცნების“ ამჟამინდელი ხელმძღვანელობა აშკარად ძალიან პირადულ საკითხად აღიქვამს გახარიას განდგომას.[35] მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა მოძრაობა მმართველი პარტიისგან საკმარისი მხარდაჭერის მოპოვებას, ოპოზიციაში ყოფნისას მმართველობის პროგრამის ჩამოყალიბებას, განსხვავებული იდენტობისა და საკანონმდებლო დღის წესრიგის შექმნას საარჩევნო პერიოდების მიღმა და გახარიას პირადი ამბიციების ნაცვლად პრიორიტეტის პარტიული მშენებლობისთვის მინიჭებას.

პროგრამული და იდეოლოგიური გამორჩეულობა, მდგრადი ფოკუსირება მთავარ სოციალურ დემოგრაფიულ საკითხებზე და ორგანიზაციული ინოვაციების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა - ყველა ეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პარტიის შესაქმნელად. მაგრამ პარტიული ძალაუფლების შენარჩუნება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ხელმძღვანელობის სურვილზე, უარი თქვას „ზემოდან ქვევით“ მიმართულ მოდელზე და შექმნას უფრო თანაბარი ძალაუფლების სტრუქტურა მტკიცე პარტიულ ორგანიზაციაში. საქართველოს ცვალებადი მედია გარემოს, ასევე ღრმა ეკონომიკური და ინსტიტუციური არასტაბილურობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ახალ პოლიტიკურ პარტიებს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაუსხლტებათ ხელიდან რეალური ძალაუფლება.

35 https://civil.ge/archives/425449

გამოყენებული ლიტერატურა

ინგრიდ ვან ბიზენი 2005: „ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში პარტიების ჩამოყალიბებისა და ადაპტაციის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ“. პოლიტიკური კვლევების ევროპული ჟურნალი 44: 147–174 გვ.

ინგრიდ ვან ბიზენი 2003: პოლიტიკური პარტიები ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში: პარტიული ორგანიზება სამხრეთ და ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში. ბესინგსტოკი: პალგრეივ მაკმილანი.

ნიკოლ ბოლეიერი 2013 წ: „ახალი პარტიები ძველ სისტემებში: გამძლეობა და დაცემა ჩვიდმეტ დემოკრატიულ ქვეყანაში“. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა.

ფერნანდო კასალ ბერტოა 2016 წ: „ნიკოლ ბოლეიერის წიგნის „ახალი პარტიები ძველ სისტემებში: გამძლეობა და დაცემა ჩვიდმეტ დემოკრატიულ ქვეყანაში“ მიმოხილვა“. შედარებითი პოლიტიკა, 1234-1236 გვ.

კორნელი კაკაჩია, თამარა პატარაია და მაიკლ სესირე 2014: „ქსელური აპათია: ქართული პარტიის პოლიტიკა და სოციალური მედიის როლი“. დემოკრატიზაცია: ჟურნალი პოსტსაბჭოთა დემოკრატიზაციის შესახებ, 255-275 გვ.

ბიძინა ლებანიძე და კორნელი კაკაჩია 2017 წ: „არაფორმალური მმართველობა და ამომრჩეველთა აღქმა ჰიბრიდულ რეჟიმებში: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში“. დემოკრატიზაცია: ჟურნალი პოსტსაბჭოთა დემოკრატიზაციის შესახებ, ტომი 25, ნომერი 4, 529-549 გვ.

ავტორის შესახებ

ჯოზეფ ალექსანდრ სმიტი (კემბრიჯის მაგისტრი, ლონდონის უნივერსიტეტის მაგისტრი) 2012-2020 წლებში ცხოვრობდა საქართველოში, მუშაობდა მულტიმედია ჟურნალისტად, კომუნიკაციების კონსულტანტად, ურბანულ აქტივისტად და საზოგადოების ორგანიზატორად. 2017 წელს კენჭი იყარა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ კანდიდატად და დაიკავა მესამე ადგილი თავის ოლქში. საქართველოდან წასვლამდე მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური პარტია „ლელო - საქართველოსთვის“ დაარსებაში.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი| სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ
ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

„ძალაუფლების შენარჩუნება“

ქართული პარტიული სისტემის ეფემერულობა 2012 წლის შემდგომ პერიოდში

ეს ნაშრომი განიხილავს ახალ პოლიტიკურპარტიებსსაქართველოში, რომლებიც 2012 წლიდან ჩამოყალიბდნენ. იმავე წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომი პერიოდი წარმოადგენს „მალიბერალიზებელ“ მომენტს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მზარდი რეპრესიული მთავრობის მხრიდან, პოლიტიკურ ახალწვეულთვის - კოალიცია „ქართულ ოცნებისთვის“ ძალაუფლების გადაცემით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამჟამინდელი მმართველი პარტიათავად არის „წარმატებული“ახალწვეული პარტიულ სისტემაში(რომელიც პარტიად 2012 წლის მოგებულ არჩევნებამდე მხოლოდ ექვსითვით ადრე დარეგისტრირდა),- ქართული ოცნების ხელისუფლებაშიმოსვლის სრული ისტორია და მისიუნარი, ბოლო წლების მანძილზე გაუძლოს უამრავ ღრმა კრიზისს, მოიცავს უფრო ფართო კითხვებს მმართველობისა და სახელმწიფოს-შესახებ, რომლებიც სცილდება საქართველოს პარტიული სისტემის ამ კვლევას.

ქართულ კონტექსტში, ახალწვეულები, როგორც წესი, იყვნენ მეწარმეები ისტორიის გარეშე, რაც მოსალოდნელია ახალგაზრდა დემოკრატიაში. საქართველოს არასტაბილური და დაუცველი მემკვიდრეობა ასტიმულირებს ლიდერებს შორის ოპორტუნისტულ, ოლიგარქიულ ქცევებს და ეფექტურად ახდენს პარტიულ განხეთქილების ინსტიტუციონალიზაციას, რაც იწვევს ახალწვეულთაგანსაკუთრებითდიდ რაოდენობას, რომელთა ბედი - მათი წარმოშობის გამო - ეფემერულობისკენ არის მიდრეკილი.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
www.southcaucasus.fes.de

FRIEDRICH EBERT STIFTUNG